

ეთიკუიარ გაშუქების სახეარმძვანელო მედიისთვის

ნაწილი 2



ეთიკუიად გაზუქების სახელმძვანელო მედიისთვის

ნაწილი 2

საქათვლოს ჟანალისგუი ეთიკის ქარგია

სახელმძვანელო წესების მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დახმარებით, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით. დოკუმენტის შინაარსზე პასუხს აგებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია და ის შესაძლოა, არ გამოსატავდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის და IREX-ის შეხედულებებს.

ეთიკურ გავლენის სახელმძღვანელო ჟურნალისგამოსვლის

დამტკიცებულია საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭოს მიერ 2017-2018 წლებში

საქართველოს ჟურნალისტიკის ეთიკის ქარტიის საბჭოს წევრები:

გიორგი მგელაძე
ნინო ჯაფარიძე
მაია მეცხვარიშვილი
თაზო კუპრეიშვილი
ლიკა ზაკაშვილი
ჯაბა ანანიძე
გელა მთივლიშვილი
გერონტი ყალიჩაძე
მაია მამულაშვილი
თამუნა უჩიძე
თეა ზიბიბაძე
მაია მერკვილაძე
გიორგი სულაძე

კომპლემენტარული მუშაობენ:

ნატა ძველიშვილი
სალომე აიბა

რედაქტორი:

ნატა ძველიშვილი

დირექტორი: ნატა ყუბანიშვილი

გამომცემი: ფაუნტინ ჯორჯია

შინააქსი

პირადი ცხოვრების გაშუქება

5

საზოგადოებრივი ინტერესი	7
ფარული გადაღება/ჩაწერა	10
საჯარო და კერძო პირები	11
პირადი ცხოვრების სენსიტიური საკითხები	11

ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქება

13

სტიგმა და სტერეოტიპები	15
ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანის მონაწილეობა ჟურნალისტურ პროდუქტში	17
ტერმინები	18

სასამართლო პროცესის გაშუქება

19

სამართლებრივი მხარე	21
სასამართლო სხდომის ღიაობა	21
სასამართლო პროცესის ჩაწერა-გადაღება	21
ჟურნალისტური სტანდარტები	23
ზოგადი რჩევები	23
ძირითადი პრინციპები	24
ბრალდებული	25
მონმე	25
ნაფიცი მსაჯულები	26
სასამართლო მასალები	27
ტერმინები	27

არჩევნების გაშუქება

29

ბალანსი	32
დებატები	34
პოლიტიკოსები ეთერში	35
სიძულვილის ენა	35

კენჭისყრის დღე	36
ფოტო-ვიდეო გადაღება	37
რას უნდა დააკვირდეთ არჩევნების გაშუქებისას	38

გენდერული საკითხების გაშუქება **41**

ძირითადი პრინციპები:	43
თემები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს მედიამ	43
არასტერეოტიპულად გაშუქებისთვის	44
გენდერული ბალანსი მასალაში	45
ქალთა მიმართ ძალადობა	46
პროსტიტუცია	47
ტერმინები	47

ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქება **49**

ტექნიკური დეტალები	52
შინაარსობრივი მხარე	54

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება **57**


ზოგადი პრინციპები:	57
მშობლისგან/მეურვისგან ნებართვა	60
კომუნიკაცია ბავშვთან	61
როდის დავფართოთ ბავშვი	62
ძალადობა და ტრავმა	63
ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და მძიმე სოციალურ	
მდგომარეობაში მყოფი ბავშვები	65
არასრულწლოვანთა სუიციდი	66
შვილები	68

შესწორების სტანდარტი მედიაში **69**

ძირითადი პრინციპები	71
ონლაინ მედია	72
სამაუწყებლო მედია	75
ბეჭდური მედია	76



პირველი ტელევიზიონის გაზეთი



პირადი ცხოვრების გაუმჯობესება

ყველა ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა დაცულია. ამიტომაც საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეათე პრინციპი ცალკე გამოყოფს მას - „ჟურნალისტმა პატივი უნდა სცეს ადამიანის პირად ცხოვრებას და არ შეიჭრას პირად ცხოვრებაში, თუ არ არსებობს განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი“.

პირადი ცხოვრების ქონის უფლება ყველას, მათ შორის საჯარო პირებსაც აძლევს შესაძლებლობას დაიცვას საკუთარი ცხოვრება სხვების არასასურველი ყურადღებისგან, არ გაასაჯაროვოს ისეთი დეტალები, რომელიც უკავშირდება მის ჯანმრთელობას, პირად ურთიერთობებს, და ა.შ. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი ფართო ცნებაა და არ გააჩნია ზუსტი განმარტება.

საჯარო ინტერესის შემთხვევაში პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროებასა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას შორის ბალანსის დაცვა მედიის გამონწვევა და პასუხისმგებლობაა.

საზოგადოებრივი ინტერესი

ჟურნალისტის მიერ პირის პირად ცხოვრებაში შეჭრა გამართლებულია მხოლოდ მაშინ, როდესაც მოპოვებული ინფორმაციის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი, როდესაც გამჟღავნებულ ფაქტებს საზოგადოებისთვის უფრო მეტი სიკეთის მოტანა შეუძლია, ვიდრე ერთი კონკრეტული პირისთვის ზიანის მიყენება. სწორედ ამით განსხვავდება საზოგადოებრივი ინტერესი საზოგადოებრივი ცნობის-მოყვარეობისაგან.

საჯარო ინტერესი უპირველეს ყოვლისა არსებობს ისეთი საკითხების მიმართ, როგორიცაა:

- სახელმწიფოს სისტემური დანაშაული
- საჯარო სახსრების არასათანადოდ გამოყენება
- თანამდებობის პირების მიერ ჩადენილი დანაშაული
- საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხები
- საარსებო გარემო
- ეროვნული უსაფრთხოების დაცვა
- მნიშვნელოვანი დანაშაულის სააშკარაოზე გამოტანას და ა.შ.

ეს ჩამონათვალი ამომწურავი არასდროს იქნება და დამოკიდებულია საქმის გარემოებებზე. რაც უფრო მაღალია საზოგადოებისათვის ინფორმაციის ღირებულება, მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს პირის პირად ინტერესს და პირიქით. ჟურნალისტმა კარგად უნდა გაიაზროს რის მიმართ არსებობს საჯარო ინტერესი - პრობლემის, რასაც პირადი ინფორმაციის გასაჯაროვება წარმოაჩენს, თუ იმ პირის ცხოვრების მიმართ, ვინც მასალაშია ასახული. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევა მხოლოდ პირველ შემთხვევაში იქნება გამართლებული. რაც უფრო ინტიმურ საკითხს ეხება ინფორმაცია, მით უფრო ძლიერი უნდა იყოს ჟურნალისტის დასაბუთება.

ორი დათქმა შეიძლება არსებობდეს პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გასაჯაროების დროს

1. პირის თანხმობა მისი პირადი ცხოვრების დეტალების გამოქვეყნებაზე;
2. დეტალური დასაბუთება, თუ რატომ უნდა გასაჯაროვდეს პირადი ინფორმაცია

თანხმობა

- პირადი ცხოვრების დეტალების გასაჯაროვება დასაშვებია თავად ამ პირის თანხმობის შემთხვევაში; დარწმუნდით, რომ რესპონდენტი გაცნობიერებულად ამბობს თანხმობას; თუ მასალაში რამდენიმე პირი ჩანს, თანხმობა ყველა მათგანისგან საჭიროა. სხვა შემთხვევაში დაფარეთ ის პირები, ვისგანაც თანხმობა არ მიგიღიათ;
- საჯარო ადგილებში მყოფ პირებს არ უნდა ჰქონდეთ მოლოდინი, რომ მათი პირადი ცხოვრება ისეთივე დაცული იქნება, როგორც სახლში, ანდა მათ საკუთრებაში ყოფნისას, თუმცა საჯარო ადგილებში ყოფნის დროსაც არის შემთხვევები, როდესაც ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა შეიძლება იყოს დაცული. მაგალითად, თუკი ადამიანს ჯანმრთელობის პრობლემა საჯარო სივრცეში შეექმნა;
- ანტისოციალურ ქცევაზე, დაავადებებზე საუბრისას ანდა სხვა ნეგატიური კონტენტის მქონე საკითხის გაშუქებისას ვიზუალურ მასალად არ შეიძლება გამოიყენოთ საჯარო ადგილას ახლო ხედით, შემთხვევით გადაღებული პირის კადრები; განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მართებს ჟურნალისტს ისეთ

ადგილებში გადაღებისას როგორცაა საავადმყოფო, სკოლა, სასტელაღსრულების დაწესებულება, სასწრაფო დახმარება... ასეთ დროს ორმაგი თანხმობა უნდა მიიღოთ - ერთი დაწესებულებიდან და მეორე თავად რესპონდენტისგან, ადგილზე მყოფი სხვა პირებისგან. თანხმობა აუცილებელი არ არის იმ შემთხვევაში, თუ პირთა იდენტიფიცირება არ ხდება;

- გადაღება თანხმობის გარეშე შეიძლება დაიწყოთ ნახევრად საჯარო სივრცეებში, მაგრამ მესაკუთრეს შეუძლია გადაღების შეწყვეტა მოგთხოვოთ. ნახევრად საჯარო სივრცედ მიიჩნევა მაგალითად, სავაჭრო ცენტრი, აეროპორტი, ადგილები, რომელიც კერძო პირს ეკუთვნის, თუმცა ღიაა საზოგადოებისთვის; პირადი ცხოვრების განსაკუთრებულად მაღალი დაცვით სარგებლობენ 16 წლამდე ახალგაზრდები, რომელთა შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებისას აუცილებელია მეურვის თანხმობა; დაცულია იმ ბავშვების პირადი ცხოვრებაც, რომლებიც საჯარო ინტერესის საგანი გახდნენ საკუთარი საქმიანობით, მაგალითად არიან მომღერლები, სპორტსმენები, გაიმარჯვეს რომელიმე კონკურსში. საჯარო სივრცეში მათგან ინტერვიუს აღება მეურვის თანხმობის გარეშე შესაძლებელია;

ვრცლად იხილეთ „ბავშვთა საკითხების გამუქების სახელმძღვანელო წესები“

- ჟურნალისტს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს სოციალური ქსელში გამოქვეყნებული პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოყენებისას. ასეთ დროს სჯობს, ნებართვა აიღოს მისი განმთავსებლისგან; ვრცლად იხილეთ სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელო წესები

დასაბუთება

თუკი არ არსებობს პირის თანხმობა პირადი ცხოვრების ამსახველი მასალის გამოქვეყნებაზე, მაშინ დაფიქრდით:

- რას და ვის ამხელთ ამ მასალით?
- რამდენად შეუწყობთ ხელს საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი დისკუსიის წამოწყებას?
- ამ დეტალების გარეშე შეძლებთ თუ არა პრობლემის სრულყოფილად წარმოჩენა? რა დამატებით ინფორმაციას იძლევა მასალა?
- რა ზიანს მიიღებს პირი მისი პირადი ინფორმაციის გამოქვეყნებით?

- გამოქვეყნებით დაკმაყოფილებული საჯარო ინტერესი გადანონის თუ არა პირისთვის მიყენებულ ზიანს?
- რა ალტერნატიული ხერხები არსებობს ამბის გასაშუქებლად?

კარგად გაიაზრეთ, პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება ხომ არ გამოიწვევს პირის სტიგმატიზებას, თემიდან გარიყვას, დისკრიმინაციას. იფიქრეთ რა უარყოფითი შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ ინფორმაციის გამჟღავნებას, მაგალითად ფიზიკური ანგარიშსწორების საფრთხე და ა.შ.

აუდიტორიას გააცანით დასაბუთებული არგუმენტები თუ რატომ გადანწყვიტეთ პირადი ცხოვრების შესახებ მოპოვებული ინფორმაციის გასაჯაროვება.

შავილი გაქაღება/ჩანაწი

- ფარულ გადაღებად მიიჩნევა:
 1. დამალული კამერით გადაღება, აუდიო ჩანაწერა;
 2. ნებისმიერი ტექნიკით (კამერა, მობილური და აშ) გადაღება, როდესაც პირმა არ იცის ამის შესახებ;
 3. სატელეფონო ჩანაწერის გაკეთება ეთერში გაშვების მიზნით რესპონდენტის თანხმობის გარეშე;
- გადაღების გაგრძელება ან დაწყება მაშინ, როდესაც რესპონდენტს ჰგონია, რომ გადაღება დასრულდა ან არ დაწყებულა.
- ფარულად გადაღება შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვების მიზნით, თუმცა მხოლოდ მაშინ უნდა გამოქვეყნდეს, თუკი რედაქცია დაასაბუთებს, რომ ღიად ვერ მოიპოვა იგივე ინფორმაცია და აუცილებელი იყო მისი გადაცემა;
- კერძო საკუთრებაში შესვლა და ფარულად გადაღება მხოლოდ მაღალი საჯარო ინტერესის შემთხვევაში და რედაქციის მიერ დასაბუთებული უნდა იყოს;
- გასართობი ანდა კომედიური გადაცემისთვის გაკეთებული ფარული ჩანაწერი შეიძლება მხოლოდ მაშინ გავიდეს ეთერში, თუ მონაწილე პირები ინფორმირებულნი არიან; განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდეთ სხვა პირის მიერ ფარულად გადაღებულ მასალას, სათვალთვალო კამერების ჩანაწერებს, ოპერატიულ მასალას.

საჯარო და პირადი პირები

- მედიისთვის საჯარო პირს უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს და მოიაზრება ყველა, ვინც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ ფუნქციას ასრულებს სხვადასხვა სფეროში იქნება ეს პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, სპორტი... საჯარო პირებს, განსაკუთრებით პოლიტიკოსებს, მაღალი თანამდებობის პირებს (საჯარო მოხელეებს) პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის მოლოდინი ყველაზე ნაკლებად უნდა ჰქონდეთ. თუმცა გარკვეული ხარისხით მათაც აქვთ გარშემომყოფებისგან საკუთარი ცხოვრების დაცვის უფლება. მაგალითად დაცულია მათი პირადი ურთიერთობები, ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია თუ არ იკვეთება ამ დეტალების მიმართ საჯარო ინტერესი, რაც შეიძლება იყოს ვთქვათ, საჯარო ფინანსების ხარჯვა პირადი ურთიერთობებისთვის ან მკურნალობისთვის და აშ.
- საჯარო პირის მიმართ არსებული ინტერესი ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ მისი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით მცირეწლოვანი შვილები იმავე ხარისხით უნდა გაშუქდნენ. მათი პირადი ცხოვრება უფრო მეტად არის დაცული, ვიდრე მათი მშობლების.

პირადი ცხოვრების სენსიზიუჟი საკითხები

არის რამდენიმე საკითხი, რისი გაშუქებისას უფრო მეტი რისკი არსებობს პირად ცხოვრებაში გაუმართლებელი შეჭრის. ამგვარი საკითხების კატეგორიას მიეკუთვნება ისეთი საკითხები როგორიცაა ჯანმრთელობა, სქესობრივი ცხოვრება, შვილად აყვანა, სუროგაცია.

ჯანმრთელობა

- ჯანმრთელობის და სქესობრივი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებული დაცვით სარგებლობს. ამგვარი ინფორმაციის გამჟღავნება ყველა შემთხვევაში პირად ცხოვრებაში შეჭრად ითვლება. შესაბამისად, ყოველი ასეთი ინფორმაციის მიმართ უნდა არსებობდეს განსაკუთრებით მაღალი საჯარო ინტერესი, შესაბამისად უნდა გაიაროს ზემოთ აღნიშნული რომელიმე ტესტი - პირის თანხმობა ან დასაბუთება;
- ვინაიდან პირის ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გავრცელებამ სხვებსაც შეიძლება ზიანი მოუტანოს, გაუჩნდეთ უნდობლობა და თავი შეიკავონ მკურნალობისგან.

უპაღური შემთხვევები, დანაშაული

- აუცილებელია ბალანსის დაცვა საჯარო ინტერესსა და უბედურ შემთხვევებში მონაწილე პირთა პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებას შორის. დაშავებულთა, ტანჯვასა და შოკში მყოფ ადამიანთა ახლო ხედით ჩვენება გამართლებულია მაშინ, თუკი ეს წარმოაჩენს მომხდარის მასშტაბს, საჭიროა კონტექსტის საჩვენებლად და ინფორმაციის სრულად გადმოსაცემად; პირდაპირ ეთერში მუშაობის დროს მედია შეძლებისდაგვარად უნდა ეცადოს, რომ აქცენტი არ გააკეთოს კონკრეტული ადამიანების ტანჯვის ჩვენებაზე;
- მედიამ უნდა იფიქროს იმაზეც, რეტრავმირებას გამოიწვევს თუ არა შემზარავი გამოსახულების მრავალჯერადად ჩვენება. ეცადეთ, მინიმუმამდე შეამციროთ გარდაცვლილთა ახლობლების და გადარჩენილთა რეტრავმირება; კერძო პირთა დაკრძალვის გადასაღებად აუცილებელია ახლობელთა თანხმობა;
- მედიამ თავი უნდა შეიკავოს დაზარალებულის, ბრალდებულის და შემთხვევასთან დაკავშირებული სხვა პირთა ცხოვრებიდან ისეთი დეტალების გასაჯაროებისგან, რომელიც საქმესთან კავშირში არ არის;
- ჟურნალისტებს შეუძლიათ რამდენ ხანსაც სურთ იმყოფებოდნენ დაზარალებულის, ბრალდებულის სახლის სიახლოვეს, საზოგადოებრივ ადგილას, მაგალითად გზაზე, და არა სახლის კართან, მიუხედავად იმისა, ის პირი საჯარო ფიგურაა თუ არა;
ვრცლად იხილეთ “კრიმინალის გაშუქების სახელმძღვანელო წესები”
- სასამართლო დარბაზში მყოფთა მძიმე ემოციური მდგომარეობის ამსახველი ფოტო/ვიდეო მასალის გამოქვეყნება მიზანშეწონილი არ არის.



ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქება



ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუმჯობესება

ფსიქიკური ჯანმრთელობა განიმარტება როგორც კეთილდღეობის მდგომარეობა, როცა ადამიანს შეუძლია საკუთარი პოტენციალის რეალიზება, ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ სტრესთან გამკლავება, ნაყოფიერად შრომა და წვლილის შეტანა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თავის მხრივ ჯანმრთელობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია „ჯანმრთელობას“ შემდეგნაირად განსაზღვრავს - „სრული ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალური კეთილდღეობის მდგომარეობა და არა მხოლოდ ავადმყოფობის არარსებობა“.

ფსიქიკურ დაავადებებს შორისაა:

- დეპრესია
- შიზოფრენია
- პოსტ ტრავმული აშლილობა
- ბიპოლარული აშლილობა და სხვა

ფსიქიკური დაავადებების რიცხვი თითქმის ორმაგდება ომისა და კატასტროფების შემდეგ. საზოგადოებაში არსებული სტიგმა კი ამგვარი პრობლემის მქონე ადამიანებს ხშირ შემთხვევაში ხელს უშლის მიიღონ ქვეყანაში არსებული სერვისები. სტიგმის გაძლიერებაში კი შესაძლებელია დიდი როლი ითამაშოს მედიის მიერ ამ თემის არასწორმა გაშუქებამ. ამიტომაც ჟურნალისტმა კარგად უნდა გააცნობიეროს რატომ ასახელებს პირის დიაგნოზს, რა დამატებით ინფორმაციას აწვდის აუდიტორიას და რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოიტანოს არამხოლოდ მასალის გმირისთვის, არამედ ყველა იმ პირისთვის, ვისაც რაიმე სახის პრობლემა აქვს ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით.

სწიგმა და სტეიკჰოლდიუნი

- არ გამოთქვით ვარაუდი ადამიანის ფსიქიკური ავადმყოფობის შესახებ, თუკი ზუსტად არ იცით, რომ მას ამგვარი დიაგნოზი აქვს. დიაგნოზის არსებობის შემთხვევაშიც, ხაზგასმით პირის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ამ დეტალის მიმართ განსაკუთრებული საჯარო ინტერესი არსებობს.
- დაუშვებელია დიაგნოზით სპეკულირება.
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები მრავალფეროვანია, მათ განსხვავებული ფორმები და სიმძიმე აქვთ. ამგვარ პრობლემად მიიჩნევა როგორც მაგალითად, ნევროზი, ან შფოთი, ისე შიზოფრენია და ბიპოლარული აშლილობა. შესაბამისად,

დაუშვებელია ყველა ტიპის პრობლემის ერთ კონტექსტში განხილვა. როცა კი შესაძლებელია, დააზუსტეთ რა ტიპის დიაგნოზთან გაქვთ საქმე, შიზოფრენიასთან, დეპრესიასთან თუ სხვა რამესთან.

- არ მოიხსენიოთ ადამიანი ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონედ, თუკი ეს დეტალი ჟურნალისტური პროდუქტის თემას ცხადად არ უკავშირდება და დამატებით ინფორმაციას არ აწვდის საზოგადოებას. მიუღებელია, ადამიანის მიერ სხვადასხვა ქმედების მტკიცებითი ფორმით დაკავშირება მის დიაგნოზთან, როდესაც დადასტურებული არ არის, რომ კონკრეტული ქმედება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო გამოწვეული. მსგავსი მიდგომა საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, თითქოს ფსიქიკური ჯანმრთელობის რომელიმე კონკრეტული პრობლემის მქონე დიაგნოზის მქონე ყველა პირი ამგვარად იქცევა.
- განსაკუთრებით დაუშვებელია პირის შესაძლო ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის ხსენება კრიმინალის ან ანტისოციალური ქმედების გაშუქებისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოში საქმის წარმოებაზე რაიმე გავლენას იქონიებს პირის დადასტურებული დიაგნოზი ანდა ამ კონკრეტული დეტალის მიმართ საჯარო ინტერესი მკაფიო და მაღალია. საჯარო ინტერესი ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა იყოს დასაბუთებული.
- თუკი მიიღებთ გადანყვეტილებას, რომ პირის დიაგნოზი ამბის მნიშვნელოვანი დეტალია, მისი გამჟღავნების დროს უმჯობესია დაასახელოთ წყარო.
 - ვინ ამბობს ამას?
 - ექიმი ადასტურებს?
 - სასამართლოს მოთხოვნით დადგინდა?
 - მეზობლები, ახლობლები ამბობენ?
 - ასეთ დროს რამდენად ზუსტი შეიძლება იყოს მათი ინფორმაცია?
- კრიმინალური ამბების გაშუქებისას ბრალდებულის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე ხაზგასმა ხელს უწყობს ზოგადად თემის სტიგმატიზებასა და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ადამიანების პოტენციურ დამნაშავეებად წარმოჩენას. კვლევები ცხადყოფს, რომ მოძალადეთა და მძიმე დანაშაულების ჩამდენთა უმეტესობას ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს, ხოლო ფსიქიკური ჯანმრთელობის რომელიმე პრობლემის დიაგნოზის მქონე ადამიანების სრული უმეტესობა მოძალადე არ არის და არც კანონთან ჰქონიათ პრობლემები.

- მედიამ ძალადობის, კრიმინალის ან ანტისოციალური ქმედებების გაშუქებისას თავი უნდა აარიდოს ჟურნალისტურ პროდუქტში მონშეთა, თვითმხილველთა ან მეზობელ-ახლობელთა იმგვარი კომენტარების გამოყენებას, სადაც წყარო ხაზს უსვამს ბრალდებულის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას და ჩადენილ ქმედებას მას უკავშირებს.
- როდესაც ასახელებთ პირის ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემას, აუცილებელია დააბუსტოთ დიაგნოზის დასმის დრო და ამჟამინდელი მდგომარეობა. შესაძლოა, ადამიანს ოდესღაც ჰქონდა დიაგნოზი, მაგრამ დღეს მისგან თავისუფალია.
- მოერიდეთ კონკრეტული სიმპტომების ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებას. მაგალითად, მონყენილობა, გაბრაზება, მარტო ყოფნის სურვილი - ეს ნორმალური ემოციებია როგორც დიაგნოზის მქონე პირებისთვის, ისე იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა არასდროს ჰქონიათ.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გამო აღიქმის მონაწილეობა ჟურნალისტურ პროდუქტში

- მიეცით საშუალება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანებს, თავადვე ისაუბრონ როგორც საკუთარ დიაგნოზზე, ისე სხვადასხვა მიმდინარე სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ თუ სხვა თემებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა ფსიქიკური დაავადებები სხვადასხვა სიმძიმისაა და არ ნიშნავს იმას, რომ ამგვარი პრობლემის მქონე ყველა ადამიანს არ შეუძლია გაცნობიერებულად გამოთქვას აზრი რომელიმე საკითხზე. ამიტომაც არ მოახდინოთ მისი დისკრიმინაცია, არ შეუზღუდოთ გამოხატვის თავისუფლება მისი დიაგნოზის გამო, მაგრამ დარწმუნდით რესპონდენტი ინტერვიუზე გააზრებულად დაგთანხმდათ.
- ადამიანი, მათ შორის, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის დიაგნოზის მქონეც გააშუქეთ ისე, რომ არ გახადოთ ბულინგისა და დაცინვის ობიექტი.

რას უნდა მოიცავდეს გაშუქება

- ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ჟურნალისტურ მასალებში მიაწოდეთ აუდიტორიას ინფორმაცია, რომ განკურნება შესაძლებელია. მნიშვნელოვან როლს თამაშობს ადამიანური ისტორიები, განსაკუთრებით, იმ პირთა შესახებ, რომლებსაც ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე შეექმნათ ფსიქიკური ჯანმრთელობის

პრობლემები, მაგრამ დაძლიეს.

- აჩვენეთ, რომ დიაგნოზი არ ნიშნავს დასასრულს. თუმცა ამავე დროს ყურადღებით იყავით, პოზიტიურად წარმოჩენის ზედმეტმა მონდომებამ პირიქით, მათი სტიგმატიზება არ გამოიწვიოს.
- მედიამ აუდიტორია უნდა მიაწოდოს შემდეგი ტიპის ინფორმაცია:
 - რა ტიპის მკურნალობის მეთოდები არსებობს?
 - რა უფასო და ფასიანი სერვისები მოქმედებს და სად შეიძლება ამ სერვისების მიღება? რამდენად ხელმისაწვდომია ის მოქალაქეებისთვის?
 - როგორ მუშაობს სახელმწიფო ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართულებით?
 - რამდენად ადეკვატურია და საკმარისია ხელისუფლების მიერ განხორციელებული პროგრამები?
 - როგორ მოახერხეს ადამიანებმა ამ პრობლემის დაძლევა?
- ისევე როგორც სხვა თემების გაშუქებისას უპირატესობა მიანიჭეთ სისტემური პრობლემების ჩვენებას
- მოერიდეთ ადამიანების პრობლემის სენსაციურ ჭრილში წარმოჩენას

გამოწმება

- ეცადეთ სხვადასხვა მოვლენა არ აღწეროთ ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ტერმინებით. მაგალითად, არ გამოიყენოთ “დაჭილდობის ცერემონიალი შიზოფრენიული/შიზოიდური იყო”.
- დაუშვებელი და დისკრიმინაციულია შემდეგი ტერმინების გამოყენება: გიჟი, შეშლილი, შიზოფრენიკი, პარანოიკი და ა.შ.
- დიაგნოზის დასახელებისას, აუცილებელია სიზუსტის დაცვა და წინა პლანზე არა დიაგნოზის, არამედ ადამიანის წამოწევა. მაგ: სწორია: ადამიანი, რომელსაც შიზოფრენიის/ დეპრესიის დიაგნოზი აქვს და არა შიზოფრენიკი, შიზოფრენიით/დეპრესიით დაავადებული, სულიერად ავადმყოფი და სხვა.

სწორია

- ადამიანი, რომელსაც შიზოფრენიის/ დეპრესიის დიაგნოზი აქვს
- ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე ადამიანი
- ადამიანი, რომელსაც ბიპოლარული აშლილობა დაუდგინეს

აკანონიერია

- გიჟი
- შეშლილი
- შიზოფრენიკი
- პარანოიკი
- ფსიქიკური ავადმყოფი
- შიზოფრენიით/დეპრესიით ბიპოლარული აშლილობით დაავადებული
- სულიერად ავადმყოფი
- ფსიქიკური პრობლემის მქონე



სასაგარეო კომუნიკაციო მედიამი



სასამართლო პროცესის გაშუქება

სასამართლო პროცესის გაშუქებისას ჟურნალისტს პროფესიული სტანდარტების დაცვის გარდა, სამართლებრივი რეგულაციების ცოდნა და გათვალისწინებაც უნევს, რადგან სასამართლო პროცესის გაშუქების წესები კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. წინამდებარე სახელმძღვანელო წესებიც ამ ორი კომპონენტისგან შედგება.

სამართლებრივი მხარე

სასამართლო სხდომის წიგნა

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის თანახმად:

- სასამართლოში ყველა საქმე განიხილება ღია სხდომაზე. დახურულ სხდომაზე საქმის განხილვა დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო და სისხლის საქმეთა განხილვისას სასამართლო სხდომა სრულად ან ნაწილობრივ შეიძლება დაიხუროს მოსამართლის ანდა მხარის შუამდგომლობის საფუძველზე.
- სხდომის დახურვა შესაძლებელია: პერსონალური მონაცემების, პროფესიული ან კომერციული საიდუმლოების დაცვის მიზნით;
- პროცესის მონაწილის ან/და მისი ოჯახის წევრის (ახლო ნათესავის) პირადი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ან თუ გამოიყენება პროცესის მონაწილის დაცვის ის სპეციალური ღონისძიება, რომელიც მოითხოვს სასამართლო სხდომის დახურვას;
- სქესობრივი დანაშაულის, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან ოჯახური დანაშაულის მსხვერპლის ინტერესების დაცვის მიზნით;
- პირადი მიმოწერის და პირადი შეტყობინების სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებისას, თუ ამაზე თანახმა არ არის პირი.
- მოსამართლე ვალდებულია საჯაროდ გამოაცხადოს სასამართლო სხდომის დახურვის საფუძველი.
- სასამართლოს შეუძლია დაავალდებულოს დახურულ სხდომაზე დამსწრე პირი, არ გაახმაუროს ის ინფორმაცია, რომელიც მისთვის ამ სხდომაზე გახდა ცნობილი.

სასამართლო პროცესის ჩაწერა-გაქაღება

სასამართლო პროცესის როგორც აუდიო ჩაწერა, ისე ვიდეო და ფოტო გადაღება „საერთო სასამართლოების შესახებ კანონით“ რეგულირდება.

ამ კანონის თანახმად (მუხლი 131)

- სასამართლო ვალდებულია უზრუნველყოს სასამართლო პროცესის აუდიო, ვიდეოჩანწერა, რაც მხარეებისთვის ხელმისაწვდომია. თუ სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე, მხარეები ვალდებული არიან ხელი მოაწერონ ხელნერილს აუდიო, ვიდეოჩანწერის გაუმჟღავნებლობაზე.
- საზოგადოებრივი მაუწყებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად განახორციელოს სასამართლო პროცესის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩანწერა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სასამართლოს მიერ გამოტანილია განჩინება სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის თაობაზე. საზოგადოებრივი მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ჩანაწერის გადაცემა მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებისათვის მათი მოთხოვნისთანავე.
- თუ საზოგადოებრივი მაუწყებელი არ სარგებლობს ამ უფლებამოსილებით, ასეთი უფლებამოსილებით სარგებლობა შეუძლია სხვა საერთო საეთერო მაუწყებელს სასამართლო სხდომის დაწყების წინ საქმის განმხილველი მოსამართლისათვის წერილობითი განცხადების წარდგენის საფუძველზე. თუ ასეთი განცხადება წარდგენილია ერთზე მეტი საერთო საეთერო მაუწყებლის მიერ, მოსამართლე უფლებამოსილ პირს შეარჩევს წილისყრის საფუძველზე. პირი, რომელიც მიიღებს სხდომის გადაღების უფლებას, ვალდებულია მოთხოვნის შემთხვევაში მასალა მიაწოდოს სხვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს.
- სასამართლო სხდომის დარბაზში ფოტოგადაღება, კინო, ვიდეოჩანწერა უნდა განხორციელდეს სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან.
- სასამართლო სხდომის დარბაზში მყოფ ნებისმიერ პირს აქვს უფლება, სასამართლოს მიერ წინასწარ გამოყოფილი ადგილიდან განახორციელოს სასამართლო სხდომის აუდიოჩანწერა. აღნიშნული მოქმედებების განხორციელებისას დაუშვებელია სასამართლო სხდომის დარბაზში მოძრაობა, ხმაური, შუქის ან სხვა ისეთი ემისიების გამოყოფა, რომლებიც ხელს უშლის მართლმსაჯულების განხორციელების ნორმალურ პროცესს.
- თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩანწერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების,

მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.

- თუ დაზარალებულის ან/და მოწმის უსაფრთხოების ინტერესები ამას მოითხოვს, მხარის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია აკრძალოს დაზარალებულის ან/და მოწმის გადაღება, მისი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელა.
- ნებადართულია სასამართლოს ეზოსა და შენობის დერეფანში ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩანერა და ეთერში გადაცემა ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე.
- დაუშვებელია სასამართლოს მიერ დადგენილი წესით სასამართლოს შენობაში შესული პირისათვის პირადი ნივთების, მათ შორის, მობილური ტელეფონის, კომპიუტერის, ფოტო, კინო, ვიდეო ან/და აუდიოსაშუალებების ჩამორთმევა.
- სასამართლოშიწესრიგისდაცვასუზრუნველყოფს სასამართლოს მანდატური. სასამართლო პროცესზე მოსამართლესთან კომუნიკაცია მისი მეშვეობით არის შესაძლებელი.

ქუჩაღი სგანდარგუბი

ზოგადი რჩევები

- კარგად განსაზღვრეთ, რატომ აშუქებთ კონკრეტულ სასამართლო პროცესს? არსებობს თუ არა მის მიმართ საჯარო ინტერესი?
- შეამოწმეთ სასამართლოს კალენდარი იმისათვის, რომ მიიღოთ ინფორმაცია ჩანიშნული სხდომების შესახებ.
- ადრე გამოცხადდით სასამართლო შენობაში. რამდენიმე წუთით დაგვიანების დროსაც კი შესაძლოა, ვერ მოახერხოთ დარბაზში შესვლა. განსაკუთრებით გახმაურებული საქმეების განხილვისას, სადაც საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია, დიდი შანსია, რომ სასამართლო დარბაზში ადგილის დაკავება რთული აღმოჩნდეს.
- მზად იყავით, რომ შესაძლებელია დიდხანს გაგრძელდეს სასამართლო პროცესი.
- სასამართლო სხდომის განმავლობისას ყურადღება მიაქციეთ რამდენად თანხვედრაშია მოწმეთა ჩვენებები ერთმანეთთან. ისინი შესაძლებელია ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს ან საეჭვოდ იდენტური იყოს.

- საქმის მასალების გაცნობისას დააკვირდით საგამოძიებო ორგანოებში წარმოებული დაკითხვის ოქმის ისეთ დეტალებს, როგორიცაა თარიღი, ჩვენების მიცემის დაწყებისა და დასრულების დრო და გაანალიზეთ რამდენად თანხვედრაშია ისინი ერთმანეთთან.
- დაფიქრდით, ვინ შეიძლება იყოს სასამართლოში მიმდინარე ამ კონკრეტული საქმით დაინტერესებული. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ იმ საქმეებს, სადაც არსებობს ეჭვი ბრალდების მხრიდან რაიმე დარღვევაზე, მაღალჩინოსანთა ინტერესზე. გამოიკვლიეთ, ხომ არ უკავშირდება რომელიმე თანამდებობის პირს საქმეში მონაწილე რომელიმე პირი.
- კარგად გაეცანით „საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონს და საპროცესო კანონმდებლობას, რაც დაგეხმარებათ შეამჩნიოთ პროცედურული დარღვევები და შეაფასოთ მოსამართლის ქცევა.

ძირითადი პრინციპები

- სასამართლო პროცესზე მოპოვებული ნებისმიერი ტიპის მასალა გამოყენებული უნდა იყოს კონტექსტის შესაბამისად, სამართლიანი გაშუქების პრინციპის დაცვით.
- ღია სასამართლო სხდომაზე ბრალდებულის და საქმის მონაწილე პირთა იდენტიფიცირება დაშვებულია.
- თუ რომელიმე პირი დახურული სასამართლო სხდომიდან ინფორმაციას გაასაჯაროებს, აწონ-დაწონეთ, არის თუ არა ამ დეტალის მიმართ მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღეთ მისი ტირაჟირების გადაწყვეტილება.
- დაუშვებელია დახურული სასამართლო პროცესიდან მოწმეთა ჩვენებების, დახურულ სხდომაზე წარმოდგენილი მტკიცებულებების გასაჯაროება, თუ მის მიმართ არ არსებობს განსაკუთრებულად მაღალი საჯარო ინტერესი.
- პატივი ეცით სასამართლო პროცესის მონაწილეებს.
- არ შეუწყობთ ხელი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევის ტირაჟირებას.
- ყურადღებით იყავით სახელებთან, ტერმინებთან დაკავშირებით და დაცავით მათი სიზუსტე.
- სასამართლო პროცესის გაშუქებისას აუცილებელია აუდიტორიამ მიიღოს ინფორმაცია საბოლოო შედეგის შესახებ.
- მედია უნდა ეცადოს, რომ პირის უდანაშაულოდ ცნობის ფაქტი

ისეთივე პროპორციით გააშუქოს, როგორც მისთვის ბრალის წაყენება გააშუქა.

- სასამართლო პროცესის გაშუქებისას, არ დაუშვათ უსაფუძვლო პანიკის შექმნა საზოგადოებაში, ჭორების ან უსაფუძვლო ვარაუდების გავრცელება, რამაც შეიძლება გაუმართლებელი ზიანი მიაყენოს პირის რეპუტაციას ან კანონიერ ინტერესებს;
- მედიათ თავი უნდა შეიკავოს დანაშაულის მოწონების ან გამართლებისგან.

ბაღღებულები

პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.

- პირი სასამართლო გადაწყვეტილებამდე უდანაშაულოდ ითვლება მაშინაც, როცა მას აღიარებითი ჩვენება აქვს მიცემული. მოერიდეთ ისეთი სიტყვების გამოყენებას, როგორიცაა „მოიპარა“, „მოკლა“, „დააყაჩაღა“ და ა.შ.
- იმ შემთხვევაშიც კი, როცა არსებობს გამამტყუნებელი განაჩენი, არ გამოიყენოთ სიტყვები – „დამნაშავე“, „მკვლეელი“ „ყაჩაღი“, „ქურდი“. უმჯობესია აღინიშნოს, რომ პირი მკვლელობაში, ქურდობაში, ყაჩაღობაშია მსჯავრდებული.
- სასამართლო სხდომების გაშუქებისას უნდა გახსოვდეთ, რომ ბრალდებული შესაძლებელია არ იქნეს ცნობილი დამნაშავედ. შესაბამისად, გაშუქებამ ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოებაში მის დაბრუნებას. სისხლის სამართლის საქმის სასამართლო პროცესისას მედიათ უნდა გააშუქოს არა მხოლოდ ცალკეული სხდომა, არამედ საბოლოო შედეგიც და უნდა მიიღოს ყველა გონივრული ზომა ადამიანის რეპუტაციისათვის გაუმართლებელი ზიანის მიყენების თავიდან აცილების მიზნით. სასამართლო პროცესის ფრაგმენტული გაშუქებით შესაძლოა, მოსახლეობას შეექმნას მცდარი წარმოდგენა, რომ პირი დამნაშავედ სცნეს მაშინ, როცა საბოლოოდ სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

მონემა

პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი.

- არსებობს გამოწვევები, რომელთაც მონემ დაკითხვისა

და საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის შემცველი საგნის, დოკუმენტის, ნივთიერების ან სხვა ობიექტის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრებათ. მათ შორისაა ჟურნალისტიც, რომელსაც შეუძლია უარი თქვას პროფესიული საქმიანობისას მიღებულ ინფორმაციასთან დაკავშირებით მოწმედ გამოცხებაზე.

- ინფორმაციის მოპოვების სანაცვლოდ მოწმისთვის არ შეიძლება თანხის შეთავაზება თუ არ არსებობს მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი. ასეთ შემთხვევაში ჟურნალისტი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ მოცემული ინფორმაციის შინაარსზე გავლენას არ მოახდენს გადაცემული თანხა.
- დაუშვებელია იმ მოწმის იდენტიფიცირება, რომელიც ჩასმულია მოწმეთა დაცვის პროგრამაში.

ნაფიცი მსაჯულები

- კანონისთანახმად, თუ სასამართლო სხდომაში ნაფიცი მსაჯულები მონაწილეობენ, სასამართლო სხდომის ფოტოგადაღება, კინო, ვიდეო, აუდიოჩანერა უნდა განხორციელდეს ნაფიცი მსაჯულების გადაღების, მათი ვინაობის, გარეგნული ნიშნების ან/და სხვა პერსონალური მონაცემების გამხელის გარეშე.
- მთელი პროცესის განმავლობაში დაუშვებელია ნაფიცი მსაჯულების იდენტიფიცირება.
- მედია უნდა გაითვალისწინოს, რომ ნაფიც მსაჯულებს ეკრძალებათ საქმის განხილვის დროს ნებისმიერი ინფორმაციის გამჟღავნება ანდა საკუთარი მოსაზრების გამოხატვა განსახილველ საქმესთან დაკავშირებით.
- კანონით, ნაფიცი მსაჯულებისთვის არ უნდა გახდეს ცნობილი ბრალდებულის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული. ეს აკრძალავს მედიაზეც ვრცელდება. არ უნდა მიენოდოს ნაფიც მსაჯულს ისეთი ინფორმაცია, რაც წინასწარ განაწყობს ბრალდების ანდა დაცვის სასარგებლოდ.
- საქმის განხილვის დასრულების შემდეგ მედიას არ ეკრძალება მსაჯულებთან ურთიერთობა, თუმცა მსაჯულს აკრძალული აქვს თათბირისა და კენჭისყრის დეტალებზე საუბარი.
- სამართალწარმოების განხორციელებაზე გეგმავლების მიზნით ნაფიცი მსაჯულის (ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის) საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონოდ ჩარევა, ისტება ჯარიმით ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

სასამართლო მასალები

- მედია უნდა დაეყრდნოს საგამოძიებო ორგანოებისა და ექსპერტების დასკვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მაუწყებელი საკუთარ ჟურნალისტურ გამოძიებას ატარებს, რომელიც გამოავლენს ოფიციალური გამოძიების უზუსტობას, წინააღმდეგობრიობას ან ინერტულობას და ფლობს საკმარის ინფორმაციას სანდო ჟურნალისტური შეფასების გაკეთებისათვის.
- სასამართლო გადაწყვეტილება ყველა შემთხვევაში ცხადდება საქვეყნოდ.
- სასამართლო ვალდებულია ჰყავდეს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი.
- სასამართლო ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია კანონის შესაბამისად.
- სასამართლოზე ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით (III თავი) დადგენილი საჯარო ინფორმაციის გავრცელების წესი.
- ინფორმაციის მისაღებად შესაძლებელია გამოყენებული იყოს სპიკერ-მოსამართლე, რომლის კომპეტენციას განეკუთვნება მედიის მოთხოვნის ან ამ მოთხოვნის გარეშე სასამართლოს საქმიანობაზე ინფორმაციის გაცემა, აგრეთვე – საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით სასამართლო გადაწყვეტილებათა გაშუქება. სპიკერ-მოსამართლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა რედაქციისათვის, რომლისთვისაც ამ ინფორმაციას რაიმე მნიშვნელობა აქვს. ინფორმაცია შეიძლება გაავრცელოს როგორც პრესრელიზების სახით, ასევე პრესკონფერენციის საშუალებით.

გაქმინები

- **მხარე** – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი.
- **ბრალდების მხარე** – გამომძიებელი, პროკურორი.
- **დაცვის მხარე** – ბრალდებული, მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი
- **სასამართლოს მეგობარი (Amicus Curiae)** – ნებისმიერ პირს, რომელიც განსახილველ საქმეში მხარე ან მესამე პირი არ არის, აქვს უფლება, საქმის არსებით განხილვამდე არანაკლებ

5 დღით ადრე სასამართლოს წარუდგინოს საკუთარი წერილობითი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით

- **აღკვეთის ღონისძიება** – დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა პროკურორი მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. მოცემულ ვადაში შუამდგომლობის წარდგენის არ არსებობის შემთხვევაში პირი გათავისუფლდება.
- **აღკვეთის ღონისძიების სახეები** – გირაო, არასრულწლოვანი ბრალდებულის მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, სამხედრო მოსამსახურის ქცევისადმი სარდლობის მეთვალყურეობა და პატიმრობა.
- **საპროცესო შეთანხმება** – სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე.

სისხლის სამართლის წარმოებისას სასამართლო გამოსცემს შემდეგ აქტებს:

- **განაჩენი** – პირველი ინსტანციის, სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ დანაშაულის ჩადენაში ან ამართლებს მას
- **განიჩნება** – სასამართლოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითზე განაჩენის და განკარგულების გარდა
- **განკარგულება** – სასამართლოში წესრიგის დარღვევასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილება.
- **დადგენილება** – პროკურორის ანდა გამომძიებლის გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხზე.
- **ვერდიქტი** – ნაფიცი მსაჯულების მიერ მიღებული გადაწყვეტილება
- **შემაჯამებელი გადაწყვეტილება** – გადაწყვეტილება, რომელიც ამთავრებს სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიას.



საქართველოს პარლამენტი

აკრედიტაციის გაუმჯობესება

წინასაარჩევნო კამპანია და კენჭისყრის დღე ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი ამბავია, რომლის გაუმჯობესებაც შესაძლებელია გავლენა იქონიოს არამხოლოდ იმაზე, თუ რა გადანაცვებულებას მიიღებს ამომრჩეველი საბოლოოდ, არამედ ზოგადად საარჩევნო გარემოზე. სწორედ ამიტომ იზრდება მედიის პასუხისმგებლობა, რათა საარჩევნო სუბიექტები გააშუქონ მიუკერძოებლად, არადისკრიმინაციულად და სამართლიანად.

ძირითადი პრინციპები

- წინასაარჩევნო კამპანიის გაშუქებისას მედიის მთავარი ამოცანაა აჩვენოს ამომრჩეველს თუ ვის სურს ხელისუფლებაში მოსვლა, რამდენად რეალურია მათი დაპირებები და აქვთ თუ არა მათი შესრულების პოტენციალი. სწორედ ეს ინფორმაცია დაეხმარება ამომრჩეველს, მიიღოს გაცნობიერებული გადაწყვეტილება კენჭისყრის დღეს.
- ამ მიზნის მისაღწევად უნდა გაშუქდეს არამხოლოდ საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებული მიმდინარე ამბები, პარტიების ანდა მათი კანდიდატების განცხადებები, არამედ საარჩევნო პროგრამები და მათი ხედვები კონკრეტულ პრობლემებთან და საკითხებთან დაკავშირებით.
- მედიამ ძირითადი საარჩევნო სუბიექტები უნდა წარმოაჩინოს მაქსიმალურად თანაბრად და არ მოახდინოს რომელიმეს დისკრიმინაცია, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ თუ საარჩევნო სუბიექტს არ აქვს გარკვეული აქტივობები, ხელოვნურად შეეცადოს მის წარმოჩენას.
- ჟურნალისტის ერთ-ერთი ვალდებულებაა, ამბავი მიუკერძოებლად, მრავალ წყაროზე დაყრდნობით და დაბალანსებულად გადმოსცეს.
- საარჩევნო კამპანიისას იზრდება კანდიდატების და მათი მხარდამჭერების მიერ კონკურენტების დისკრედიტაციის მცდელობა.
- იყავით ყურადღებით, რომ არ მიჰყვეთ მათ მიერ შემოთავაზებულ დღის წესრიგს და საზოგადოებას შესთავაზოთ საგნობრივი მსჯელობა, კონკრეტულ კითხვებზე პასუხი ზედპირული განხილვების და ურთიერთბრალდებების ნაცვლად.
- საარჩევნო სუბიექტებთან საუბრისას, მათი საარჩევნო პროგრამის წარდგენისას ჟურნალისტი უნდა იყოს კარგად მომზადებული, იცნობდეს საარჩევნო პროგრამას, რათა მოახერხოს

შესაბამისი კითხვების დასმა მათი დაპირებების რეალურობის წარმოსაჩენად.

- ყურადღებით იყავით საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატების აქტივობების გაშუქებისას. ხშირ შემთხვევაში მათი მისვლა სოციალურად დაუცველ ოჯახთან, ბავშვებთან ერთად ფეხბურთის თამაში, ნერგების დარგვა და სხვა მსგავსი აქციები მხოლოდ პიარს ისახავს მიზნად. შესაბამისად, მათი პოპულარიზაციის ნაცვლად უნდა დასვათ რელევანტური კითხვები. ასეთი ღონისძიებების დროს თუკი კანდიდატი მმართველი პარტიის წარმომადგენელი იყო, მოსთხოვეთ პასუხი სოციალური პროგრამების შესახებ, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმართაობაზე, გარემოს დაცვაზე. ოპოზიციური პარტიის კანდიდატს ჰკითხეთ როგორ უმუშავია ამ პრობლემების მოსაგვარებლად აქამდე, როგორ აპირებს მის გადაჭრას ახლა და დააკვირდით, რამდენად ჯდება მის მანდატში გაცემული დაპირებები.
- ეცადეთ გაშუქებისას ისმოდეს ამომრჩეველთა ხმა.

ბალანსი

- ბალანსი სხვადასხვა პოზიციაზე მყოფი ადამიანების თანაბრად წარმოჩენას ნიშნავს. პრაქტიკაში ეს გულისხმობს არამხოლოდ უშუალოდ ბრალდების ობიექტისთვის საპასუხო კომენტარის მიცემის შესაძლებლობას, არამედ მომხდარ ამბავთან დაკავშირებული ყველა დაინტერესებული მხარის წარმოჩენას. შესაბამისად, აუდიტორიისთვის ზუსტი და სრულყოფილი ინფორმაციის გადაცემას.
- ბალანსის დაცვისთვის ყველა საარჩევნო სუბიექტისთვის მხოლოდ მათემატიკური სიზუსტით თანაბარი დროის დათმობა არ არის საჭირო. მაგალითად, ხშირად ტელემაუწყებლები ამზადებენ ერთგვარ კოლაჟს სხვადასხვა სუბიექტის მიერ განხორციელებულ საარჩევნო აქტივობების შესახებ, თუ როგორ შეხვდნენ ამომრჩეველებს და დაპირებები გააცნეს. ამგვარი მასალიდან აუდიტორია მხოლოდ იგებს იმას, რომ კანდიდატი ამომრჩეველს რაღაცას დაჰპირდა, რაც არანაირ ინფორმაციულ ღირებულებას არ ატრებს. ვინაიდან მთავარია რამდენად რეალურია დაპირება და აქვს თუ არა კანდიდატს

მისი შესრულების უნარი. აუდიტორიასაც სწორედ ეს უნდა აჩვენოთ.

- მოკლე ამბებში თუ ენ. კადრ სინქრონებშიც ბალანსი ისევე უნდა იყოს დაცული, როგორც ვრცელ მასალებში. მნიშვნელოვანია, რომ მედია განსაკუთრებული პასუხისმგებლობით მოეკიდოს დანაშაულის დაბრალების შესახებ ინფორმაციის ერთ წყაროზე დაყრდნობით ეთერში გაშვებას. თუ აუცილებლობა არ მოითხოვს, უმჯობესია მედიამ მსგავსი ამბავი მაყურებელს მხოლოდ „დადანაშაულებული“ სუბიექტის საპასუხო კომენტარის მოპოვების შემდეგ შესთავაზოს. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გამო, აუცილებლობის შემთხვევაში, ინფორმაცია შესაძლოა გადაიყვანოს ერთ წყაროზე დაყრდნობით, თუმცა იქვე უნდა განუმარტოთ მაყურებელს, რომ ინფორმაცია გადაუმოწმებელია, ეყრდნობა მხოლოდ ერთ წყაროს, რომ ცდილობთ გადამოწმებას და მეორე მხარის კომენტარს მოპოვებისთანავე გაავრცელებთ. ამასთან ყველა მსგავს შემთხვევაში აუდიტორიას აუხსენით, თუ რატომ ვერ მიიღეთ საპასუხო კომენტარი და რა მცდელობები გქონდათ კომენტარის მოსაპოვებლად. ეთიკური ჟურნალისტიკა ავალდებულებს ჟურნალისტს, საზოგადოებას აჩვენოს, რომ მან ყველა გზა სცადა ზუსტი ინფორმაციის მოსაპოვებლად. ამ თუნდაც უშედეგო მცდელობის ჟურნალისტურ პროდუქტში ასახვა უფრო სრულყოფილს და ზუსტს გახდის.
- თუკი რომელიმე მხარე გადაცემაში მონაწილეობაზე უარს ამბობს ან არ აკეთებს კომენტარს, ამის შესახებ აცნობეთ აუდიტორიას ყოველ ჯერზე, როდესაც კი საჭირო რესპონდენტი შეთავაზების მიუხედავად არ მიიღებს მონაწილეობას.
- იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემაში არ მონაწილეობს მხარე, ვის მიმართაც ისმის ბრალდებები, ამავდროულად მას სხვა დროს გაკეთებული აქვს კომენტარი ამ თემაზე, უმჯობესია წარმოჩენილი იყოს რაიმე ფორმით, ან ჩანაწერის სახით, ან თავად შეახსენეთ ოპონენტს მოპასუხის პოზიცია. თუკი ამგვარი საპასუხო კომენტარი არ მოიპოვება, თავად გაუწიეთ ოპონირება და დაუსვით კონტრ კითხვები.
- თუკი გადანყვეტთ, რომ აუდიტორიას აჩვენოთ რომელიმე საარჩევნო ოლქის კანდიდატები, უნდა შეგეძლოთ დასაბუთება

რა ნიშნით შეარჩიეთ მიანცდამაინც ის ოლქი, კანდიდატები და რატომ არ ექნებათ იგივე შესაძლებლობა სხვა ოლქის კანდიდატებს.

- წამყვანი უფრო მეტად მომზადებული უნდა იყოს ისეთ რესპონდენტებთან სასაუბროდ, რომლებიც ხშირად ერთსა და იმავე შეცდომაში შემყვან გზავნილებს ავრცელებენ. უნდა შეეცადოს ყოველ ჯერზე შეუსწოროს რესპონდენტს ფაქტობრივი შეცდომები და მაყურებელს ზუსტი ინფორმაცია მიანოდოს.
- გადაცემის შემოქმედებითი გუნდი უნდა ეცადოს, რომ ერთმანეთის პირისპირ სადისკუსიოდ არ დასვას ისეთი რესპონდენტები, რომლებს შორისაც მოსალოდნელია მწვავე კონფლიქტი და დაპირისპირება. თუ მაუწყებელი პირდაპირ ეთერში ჩართავს რომელიმე კანდიდატის წარდგენის ღონისძიებას, მაშინ ამგვარი შესაძლებლობა უნდა მისცეს სხვა კანდიდატსაც. ამასთან ამგვარი ჩართვა ინტეგრირებული უნდა იყოს რომელიმე გადაცემაში. სხვა შემთხვევაში ის იქნება რეკლამა, სადაც კანონით დადგენილი ლიმიტი დაცული უნდა იყოს. სარეკლამო დრო და ტარიფები კი მაუწყებელმა ვებსაიტზე უნდა გამოაქვეყნოს.

დებატები

- „მაუწყებლობის შესახებ“ კანონი საერთო მაუწყებლებს წინასაარჩევნო დებატების ეთერში გაშვებას ავალდებულებს მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს. აგრეთვე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არადისკრიმინაციულად უნდა უზრუნველყონ ყველა კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტის თანაბარი მონაწილეობა წინასაარჩევნო დებატებში.
- დებატების, ისევე როგორც საარჩევნო კამპანიის გაშუქების მიზანია ამომრჩეველს გააცნოს კანდიდატი და დაანახოს, რამდენად არის ის მზად გაცემული დაპირებების შესასრულებლად. ამის საჩვენებლად მნიშვნელოვანია გადაცემის ფორმატი. დებატები არ ნიშნავს პარტიის პრეზენტაციას ანდა ერთ კითხვაზე ყველა კანდიდატის თანაბარი ქრონომეტრაჟის მქონე კომენტარის მოსმენას. კარგად დაგეგმილი დებატებისას ან თავად წამყვანმა უნდა გაუწიოს ოპონირება კონტრ კითხვებზე.

ბით, ანდა კონკურენტ კანდიდატებს უნდა ჰქონდეთ დრო ერთმანეთისთვის კითხვების დასმის თუ კომენტარის გაკეთების.

- დებატებში მონაწილე ყველა კანდიდატს თანაბარი დრო უნდა დაეთმოს.

პოლიტიკოსები თუ არა

- მიუკერძოებლობის და არადისკრიმინაციულობის პრინციპიდან გამომდინარე დაუშვებელია პოლიტიკური თანამდებობის პირის, საარჩევნო კანდიდატის ანდა არჩევნებში მონაწილე პარტიის წევრის მონაწილეობა ახალი ამბების ან საინფორმაციო პროგრამებში წამყვანის, ინტერვიუერის ან ჟურნალისტის სახით. ამგვარი წესი “მაუწყებელთა ქცევის კოდექსითაც” არის დადგენილი.
- ასევე კოდექსის თანახმად, საარჩევნო პერიოდში კანდიდატის ან პარტიის წარმომადგენლის ისეთ პროგრამებში მონაწილეობა, რომლებიც არ არის პოლიტიკასთან პირდაპირ კავშირში, დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოლაპარაკება პროგრამაში მონაწილეობის შესახებ შედგა საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე. კანდიდატს არ უნდა მიეცეს საშუალება გამოთქვას პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა გზით მოახდინოს საკუთარი კანდიდატურის რეკლამირება.
- მაუწყებელი უნდა შეეცადოს მკაფიოდ განასხვავოს სახელმწიფო მოხელის, როგორც თანამდებობის პირის მიერ საჯარო/სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესრულება და კერძო/პარტიული/საარჩევნო საქმიანობა.
- თუკი ჟურნალისტი გადაწყვეტს არჩევნებში მონაწილეობას, მან დაუყოვნებლივ უნდა შეწყვიტოს ჟურნალისტური საქმიანობა და ეთერი არ უნდა გამოიყენოს საკუთარი კამპანიისთვის.

სიძულვილის ენა

- დაუშვებელია მედიის გამოყენება სიძულვილის ენის ტირაჟირებისთვის. არათუ ჟურნალისტი არ უნდა იყენებდეს ამგვარ ლექსიკას, არამედ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ რესპონდენტსაც ხელი შეუშალოს მის გავრცელებაში.
- თუკი არ არის პირდაპირი ეთერი, მაშინ რესპონდენტის ნათქვამი ისე უნდა დარედაქტირდეს, რომ სიძულვილის ენის ტირაჟირება

არ მოხდეს. ამგვარი ლექსიკა მხოლოდ მაშინ შეიძლება დარჩეს კომენტარის სახით, როდესაც გაშუქების მიზანია, აუდიტორიას აჩვენოს როგორ საუბრობს ესა თუ ის პოლიტიკოსი, კანდიდატი თუ თანამდებობის პირი. ასეთ შემთხვევაში მასალიდან უნდა იკვეთებოდეს რედაქციის სარედაქციო პოლიტიკა, რომ მისთვის სიძულვილის ენა მიუღებელია.

- თუ რესპონდენტი პირდაპირი ეთერში იყენებს სიძულვილის ენას, მაშინ წამყვანი უნდა გაემიჯნოს მას და მიუთითოს რესპონდენტს, რომ ამგვარი ლექსიკა მიუღებელია. თანამედროვე ეთიკური სტანდარტები ჟურნალისტს ავალდებულებს გამოხატოს პოზიცია და გააკრიტიკოს დისკრიმინაციული განცხადება და მისი ავტორი.

კენჭისყრის ღლე

კენჭისყრის დღეს ჟურნალისტების უფლებები “საარჩევნო კოდექსით” განისაზღვრება. კოდექსის თანახმად:

- პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების ერთსა და იმავე ორგანიზაციას უფლება აქვს, საარჩევნო უბანში ერთდროულად ჰყავდეს არა უმეტეს 3 წარმომადგენელი.
- არჩევნების დღეს, კენჭისყრის დასრულებამდე არჩევნების გაშუქება უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფაქტობრივი გარემოებების გაშუქებით, რათა საარჩევნო უბნების დახურვამდე ეთერში გასულმა ინფორმაციამ ზეგავლენა არ მოახდინოს არჩევნების შედეგებზე.
- კენჭისყრის შენობაში მყოფ მედიის წარმომადგენელს აუცილებლად უნდა ეკეთოს მისი ვინაობისა და სტატუსის დამადასტურებელი სამკერდე ნიშანი. ამ ნიშნის არქონის გამო საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებს უფლება აქვთ, ჟურნალისტი უბანზე არ შეუშვან.
- კენჭისყრის დღეს ჟურნალისტს უფლება აქვს, დააკვირდეს პროცესს საარჩევნო უბნის გახსნიდან ხმის დათვლის დასრულებამდე.
- მედია საშუალების წარმომადგენელმა, რომელიც შედის საარჩევნო უბანში, რეგისტრაცია უნდა გაიაროს საარჩევნო უბნის მდივანთან. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირი (მათ შორის მედიის წარმომადგენლები) უფლება-

მოსილია თავისი პრეტენზიები, საჩივრები და შენიშვნები ასახოს ჩანაწერთა წიგნში.

- კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი, მათ შორის, მედიის წარმომადგენელი, უფლებამოსილია დააკვირდეს გადასატანი ყუთის მეშვეობით ხმის მიცემის პროცესს. ამისათვის მედიის წარმომადგენელი უფლებამოსილია თან ახლდეს გადასატან საარჩევნო ყუთს გადასატანი საარჩევნო ყუთის მოძრაობის მთელი პერიოდის განმავლობაში
- მედიას უფლება აქვს დაესწროს საარჩევნო კომისიების სხდომებს;
- აკრედიტებულ ჟურნალისტებს უფლება აქვთ კენჭისყრის დღეს ნებისმიერ დროს იმყოფებოდნენ კენჭისყრის შენობაში. შეუზღუდავად გადაადგილდნენ საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე და თავისუფლად, დაუბრკოლებლად, კენჭისყრის პროცესისათვის ხელის შეუშლელად, დააკვირდნენ კენჭისყრის პროცესის ყველა ეტაპს.

უოგო-ვიდეო გადაღება

- ერთი და იმავე მედიასაშუალებას უფლება აქვს ერთ საარჩევნო უბანზე კენჭისყრის პროცესის განმავლობაში ფოტო-ვიდეო გადაღება თავისუფლად აწარმოოს არაუმეტეს 10 წუთისა, რის შემდეგაც ან უნდა დატოვოს უბანი ან ვალდებულია, დაიკავოს კენჭისყრის შენობაში გამოყოფილი სპეციალური ადგილი.
- გადაღებისთვის სპეციალურ ადგილს გამოყოფს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. ადგილი გადაღების სუბიექტიდან/ობიექტიდან არანაკლებ 3 მეტრის დაშორებით უნდა მდებარეობდეს და ჩანდეს საარჩევნო პროცესი. თუ კენჭისყრის შენობა არ იძლევა 3 მეტრიანი დისტანციის დაცვის საშუალებას, გადასაღებ ადგილს განსაზღვრავს შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. მედიის სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან გადაღების უფლება წარმომადგენლების გარდა აქვს კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე ყველა პირს.
- თუკი ხმის მისაცემად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ამომრჩევლები (პოლიტიკური თანამდებობის პირები, საარჩევნო სუბიექტებისა და პოლიტიკური გაერთიანებების

ხელმძღვანელები, რელიგიური ლიდერები) მიდიან, მაშინ მედიას შეუძლია თავისუფლად ანარმოს ფოტო-ვიდეო გადაღება. ამ პირთა მიერ ხმის მიცემის შემდეგ კი ან უნდა დატოვოს უბანი ან დაიკავოს სპეციალურად გამოყოფილი ადგილი.

- იმ შემთხვევაში, თუკი კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირი კამერით გადაადგილდება ან ტოვებს კენჭისყრის შენობას, კარგავს ფოტო-ვიდეო გადაღების უფლებას.
- ფოტო-ვიდეო გადაღების წესების დარღვევის შემთხვევაში საუბნო საარჩევნო კომისია ხმათა უმრავლესობით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი პირის კენჭისყრის შენობიდან გაძევების შესახებ.

აკრძალულია

- კენჭისყრის კაბინაში ფოტო-ვიდეო გადაღება (რათა არ მოხდეს ამომრჩევლის არჩევანის გამჟღავნება);
- ამომრჩეველთა სიების საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი (სამაგიდო) ვერსიისა და სხვა ისეთი ინფორმაციის თუ მასალის გადაღება, რომელიც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას.
- ინტერვიუს ჩაწერა კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებთან დასაშვებია მხოლოდ კენჭისყრის შენობის გარეთ.
- ჟურნალისტმა აგიტაცია გაუწიოს ამომრჩეველს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სასარგებლოდ ან საწინააღმდეგოდ ან ატაროს რომელიმე საარჩევნო სუბიექტის სიმბოლიკა და ნიშანი.

რას უნდა დააკვირდეთ არჩევნების გაშუქებისას:

ამომრჩეველთა უფლებები

- წესრიგშია თუ არა საარჩევნო სიები?
- არიან თუ არა ამომრჩევლები თავისუფლები ხმის მიცემისას?
- ხომ არ ხორციელდება მათზე ზეწოლა? არის თუ არა რაიმე მითითება, დამუქრება, შანტაჟი, მოსყიდვა?
- საჯარო სამსახურში დასაქმებულები ხომ არ განიცდიან ზეწოლას

ხელმძღვანელების მხრიდან რათა მათ კონკრეტულ კანდიდატს მისცენ ხმა?

- რამდენად გაცნობიერებული აქვთ ამომრჩევლებს საკუთარი როლი და არჩევნებში მონაწილეობის მნიშვნელობა?

საარჩევნო სუბიექტები

- როგორია საარჩევნო სუბიექტების საარჩევნო დაპირებები და რამდენად რეალურია მათი განხორციელება?
- ვინ არიან არჩევნებში მონაწილე პარტიები და როგორია საარჩევნო სიაში მყოფი პირების ბიოგრაფია? არის გენდერული თანაფარდობა დაცული?
- რა საარჩევნო პროგრამები აქვთ? მნიშვნელოვანია მათი ანალიზი. მმართველი პარტიის შემთხვევაში საინტერესოა რა შესრულდა წინა არჩევნების დროს შემუშავებული პროგრამიდან.
- საარჩევნო დაპირებები ხომ არ სცდება დასაკავებელი პოზიციის მანდატს? მაგალითად, პარლამენტში მოსახვედრად მებრძოლი კანდიდატი ხომ არ გასცემს ისეთ დაპირებებს, რაც თვითმმართველობის მოვალეობაში შედის და კანონმდებელი მას ვერ მოაგვარებს?
- როგორია პარტიის მთავარი სარეკლამო რგოლები და გზავნილები, მათი საარჩევნო კამპანიის სტრატეგია?
- რა არის პარტიების დაფინანსების მთავარი წყარო? როგორია ტენდენცია მათთვის თანხის გადარიცხვის?
- ვინ არიან შემომწირველები? რა კავშირი აქვთ მათ კანდიდატებთან? რამდენად აქვთ შემოსავალი, რომ კანდიდატებისთვის შემოწირულობის გაღება შეძლონ?
- რა მიმართულებით ხარჯავენ ყველაზე მეტ თანხას პარტიები და როგორია მათი თანაფარდობა ერთმანეთთან?
- რამდენად აქვთ კანდიდატებს შესაძლებლობა თავისუფლად აწარმოონ საარჩევნო კამპანია? თანაბარ და არადისკრიმინაციულ პირობებში არის ყველა მათგანი?
- ხომ არ მიმდინარეობს ზეწოლა საარჩევნო სუბიექტებზე, მათ ახლობლებზე, თანამოაზრეებზე?
- როგორია საარჩევნო სუბიექტებისთვის მედიაზე ხელმისაწვდომობა?

საარჩევნო გარემო

- ასრულებს თუ არა ყველა სახელმწიფო უწყება დაკისრებულ მოვალეობას, რათა საარჩევნო გარემო იყოს არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე?
- როგორია ცენტრალური საარჩევნო კომისიის საქმიანობა, მიღებული გადაწყვეტილებები, საჩივრების განხილვის პროცესი და შედეგები?
- როგორ რეაგირებს აუდიტის სამსახური პარტიების მიერ წარდგენილ ანგარიშებზე? სავარაუდო დარღვევებზე?
- როგორ მუშაობს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, როგორია მათთან შესული საჩივრები პოლიტიკურ რეკლამებთან და მაუწყებლის მიერ წინასაარჩევნო ვალდებულებების შესრულების თვალსაზრისით? როგორ რეაგირებს საჩივრებზე? არის თუ არა ერთგვაროვანი მიდგომა ყველას მიმართ?
- აქვეყნებენ თუ არა მაუწყებლები წინასაარჩევნო პერიოდში პოლიტიკური რეკლამის ტარიფების და შემდეგ უკვე განთავსებული რეკლამის მოცულობის შესახებ ინფორმაციას?
- როგორ მუშაობს უწყებათაშორისი კომისია? რა საჩივრები შედის და რამდენად ადეკვატურია მათი რეაგირება?
- გამოყენებულია თუ არა ადმინისტრაციული რესურსები არჩევნებში?
- გვხვდება თუ არა ფარული რეკლამა?
- რა საკანონმდებლო ცვლილებები ხორციელდება? ხომ არ აყენებს რომელიმე სუბიექტს უპირატეს მდგომარეობაში მოსალოდნელი ცვლილებები ან ზოგადად რაიმე გავლენას ახდენს თუ არა საარჩევნო გარემოზე?
- რომელმა და რამდენმა მედიასაშუალებამ გაიარა აკრედიტაცია? ხომ არ იწვევს ეჭვს რომელიმე მათგანის რაოდენობა? ასეთ შემთხვევაში გადაამოწმეთ მედიასაშუალების ნამდვილობა, დამფუძნებლები და მათი კავშირი საარჩევნო სუბიექტებთან
- რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები დააკვირდებიან არჩევნებს?



გენდერული სპირობების გაშუქება

გენდერული საკითხების გაშუქება

გენდერი სქესის სოციალური მახასიათებელია, რომელიც გამოხატავს საზოგადოების მიერ დადგენილ თუ გამომუშავებულ ფუნქციურ, ქცევით, მენტალურ თუ ემოციურ განსხვავებულობას ქალსა და კაცს შორის. გენდერული სტერეოტიპები ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებებია ქალისა და კაცის უნარებზე, თვისებებზე, სოციალურ ქცევაზე და სოციალურ ფუნქციებზე.

გენდერული როლებისა და სტერეოტიპების ჩამოყალიბებასა და გაძლიერებაში დიდი როლს ასრულებს მედია, შესაბამისად მის შესუსტებაშიც მნიშვნელოვანი წვლილი სწორად გაშუქებას მიუძღვის. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მეშვიდე პრინციპი დისკრიმინაციას კრძალავს. ამ პრინციპის თანახმად, ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე, ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის სხვადასხვა ნიშნით, მათ შორის სქესის გამო დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად.

ძირითადი პრინციპები:

- მედიამ არათუ ხელი არ უნდა შეუწყოს გენდერული სტერეოტიპების გამყარებას, არამედ უნდა ებრძოდეს მას. ყურადღებით იყავით, რომ თქვენი მასალა არ აძლიერებდეს სოციალურ გავრცელებულ მოსაზრებას ქალის და კაცის როლის შესახებ.
- სხვა პირთა მიერ სტერეოტიპული ენის გამოყენების შემთხვევაში პასუხისმგებლობა არ ეხსნება მედიას. ასეთ დროს ისევე უნდა მოიქცეთ, როგორც სიძულვილის ენის გამოყენების შემთხვევაში. თუ პირდაპირი ეთერია, იქვე უნდა გაემიჯნოთ, ჩანაწერის დროს კი, შესაბამისად უნდა დაარედაქტიროთ თუ, რა თქმა უნდა, გაშუქების მიზანი არ არის ის, რომ აჩვენოთ როგორ შეუფერებელ ტერმინოლოგიას იყენებს ესა თუ ის საჯარო პირი.
- მასალის მომზადებისას წყაროებს შორის ბალანსი შეძლებისდაგვარად დაცული უნდა იყოს.

თემატიკა, რომელზეც ყურადღება უნდა გააქცეს პირად:

- ქვეყანაში გენდერული თანასწორობის კუთხით არსებული სიტუაცია, სახელმწიფო პოლიტიკა, საკანონმდებლო ცვლილებები, ადვოკატირების კამპანიები

- გენდერული დისკრიმინაცია
- ქალთა მიმართ ძალადობა. კონკრეტულ შემთხვევებზე საუბრისას უმჯობესია ფოკუსი სისტემურ პრობლემებზე გააკეთოთ და აჩვენოთ, რას აკეთებს სახელმწიფო ამ მიმართულებით, რამდენად კარგად ასრულებენ დაკისრებულ მოვალეობას საჯარო მოხელეები
- ხელისუფლების წარმომადგენელთა თუ სხვა საჯარო პირთა მხრიდან გენდერული სტერეოტიპების გამოვლენის, არასწორი ტერმინოლოგიის გამოყენების შემთხვევები
- სამსახურში სექსუალური შევიწროვების შემთხვევები
- დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში, ქალთა დაბალი ანაზღაურება, მათ სიმცირე ხელმძღვანელობის ზედა რგოლში.
- არჩევნებისას ქალთა წარმომადგენლობა – ყურადღება გაამახვილეთ როგორია საარჩევნო სიასა თუ კანდიდატებს შორის გენდერული გადანაწილება.
- სისტემური პრობლემების საჩვენებლად გამოიყენეთ სტატისტიკური მონაცემები, გაეცანით სახალხო დამცველის, რელიგვანტური საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშებს.

აკასგაქოფიჟაჲ გაშუჟეისთჳის

- მოერიდეთ ამბის მონაწილე პირთა სქესის აღნიშვნას, როდესაც ის რაიმე დამატებით ინფორმაციას არ აძლევს აუდიტორიას. ეს განსაკუთრებით გასათვალისწინებელია ანტისოციალური ქცევის გაშუქებისას.

მაგალითად, ავტოსაგზაო შემთხვევის დროს დამნაშავე მძღოლი ქალი იყო თუ კაცი არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მასალაში იმის მითითება, რომ მანქანას ქალი მართავდა, ამყარებს სტერეოტიპს თითქოს ქალი ცუდი მძღოლი იყოს მაშინ, როდესაც ავტოსაგზაო შემთხვევების მონაწილე არაერთი კაცი მძღოლია.

- არ გააშუქოთ ამბავი ისე, რომ გენდერული როლების შესახებ საზოგადოებაში არსებული არასწორი წარმოდგენები გაძლიერდეს, არ მიანიჭოთ „ქალურისა“ და „კაცურის“ იარლიყი რომელიმე პროფესიას თუ ქმედებას.

მაგალითად, არ წარმოაჩინოთ პოლიტიკოსი ქალები სამზარეულოში თუკი პოლიტიკოს კაცებსაც არ აჩვენებთ ამავე ამბულაში. არ ჰკითხოთ რას ჩაიცმევინ პარლამენტში სესიის გახსნის დღეს მხოლოდ ქალ კანონმდებლებს. კულინარიული შესაძლებლობები იქნება ეს თუ ჩაცმულობა, თანაბრად უნდა იყოს განხილული ქალებისა და კაცების შემთხვევაში

- არ წარმოაჩინოთ წარმატებული ქალები ეგზოტიკურ პირებად, სუპერგმირებად.

მაგალითად, მოერიდეთ ქალებისთვის ასეთ კითხვებს:

- როგორ უთავსებთ კარიერას და პირად ცხოვრებას ერთმანეთს?
- შვილი განიცდის, თქვენ რომ სახლიდან სულ გასული ხართ?
- სამზარეულოში ტრიალი გეხერხებათ? რას ამბობს ქმარი, როდესაც საჭმელს არ ამზადებთ?

ამგვარი კითხვები რეალურად აჩვენებს არა იმას, თუ როგორ მიაღწიონ ქალებმა წარმატებას, არამედ იმას თუ რამდენად ჯდება ესა თუ ის ქალი საზოგადოებაში არსებულ სტერეოტიპულ ხატში.

გენდური ბალანსი მასალაში

- შეეცადეთ დაიცვათ ბალანსი რესპონდენტების შორის და ერთნაირად წარმოაჩინოთ ქალი და კაცი საკუთარ მასალაში, როცა ეს შესაძლებელია
- მნიშვნელოვანია, ეს ბალანსი წარმოჩენილი იყოს საინფორმაციო, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემებშიც, რათა არ გამყარდეს სტერეოტიპი, რომ ქალს მხოლოდ ენ „მსუბუქ“ თემებზე შეუძლია საუბარი.
- ქალები და კაცები წარმოაჩინეთ თანაბრად, როდესაც სხვადასხვა ჯგუფებზე საუბრობთ (შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, ეთნიკური, რელიგიური, სექსუალური თუ სხვა ტიპის უმცირესობები) ამით საზოგადოებას აჩვენებთ, რომ რომელიმე ჯგუფს მხოლოდ ერთი სქესის ადამიანები არ წარმოადგენენ.
- თუკი გიჭირთ შესაბამისი რესპონდენტების მოძიება, დაუკავშირდით ამ თემებზე მომუშავე ორგანიზაციებს. ისინი დაგეხმარებიან.

რებიან იპოვოთ რელევანტური წყაროები და თქვენი მასალა გენდერულად დაბალანსებული გამოვიდეს.

ქალთა მიმართ ძალადობა

- ქალთა მიმართ ძალადობას სხვადასხვა ფორმა აქვს. მნიშვნელოვანია, რომ მედიამ ყურადღების მიღმა არ დატოვოს ასეთი შემთხვევები და სათანადო აქცენტის დასმით წარმოაჩინოს არსებული პრობლემები. ამასთან, ისე უნდა გააშუქოს ეს თემა, რომ არ მიაყენოს ზიანი მსხვერპლს, მის შვილებს, ახლობლებს.
- ხშირად მსხვერპლთა მხოლოდ სახის დაფარვა საკმარისი არ არის მისი არაიდენტიფიცირებისთვის. ისტორიის მოყოლითაც კი შესაძლებელია ადვილად ამოსაცნობი გახდეს მოძალადისთვის. ამიტომაც კარგად გაანალიზეთ, დაცული იქნება თუ არა მსხვერპლის უსაფრთხოება მას შემდეგ, რაც მის ისტორიას მოყვებით. რესპონდენტის ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლებელია არათუ სახელის, გვარის და სახის დაფარვა, არამედ ისტორიის დეტალების შეცვლაც კი მოგიწიოთ.
- ფრთხილად იყავით, რომ თქვენი გაშუქებით ხელი არ შეუწყობს მსხვერპლის ისე წარმოჩენას, თითქმის ის აძლევდა საფუძველს და უბიძგებდა მოძალადეს დანაშაულის ჩადენისკენ. მაგალითად, მოერიდეთ დანაშაულის მიზეზად “ექვიანობის ნიადაგის” დასახელებას. ამით თქვენ უნებურად მიაწოდებთ იმაზე, რომ მსხვერპლი ქალი “არასწორად” იქცეოდა, პროვოცირება გაუკეთა მოძალადეს და მისცა საფუძველი დანაშაულის ჩადენისა. გარდა იმისა, რომ არ არსებობს რაიმე ტიპის ქცევა, რაც გაამართლებს მოძალადის ქმედებას, საკანონდებლო ბაზა დანაშაულის მოტივად არ სცნობს “ექვიანობის ნიადაგს”. არსებობს სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, დისკრიმინაცია, შურისძიება და აშ, რაც შესაძლებელია დანაშაულის საფუძველი იყოს, მაგრამ არა “ექვიანობის ნიადაგი”.
- ფემიციდი ქალთა მიმართ ძალადობის უკიდურესი ფორმაა. ეს არის ქალების მკვლელობა მათი სქესის გამო. მოძალადეთა უმეტესობა ყოფილი ან ახლანდელი პარტნიორია. ფემიციდის გაშუქებისას ისე, როგორც ძალადობის სხვა ფორმებზე ყურადღების გამახვილებისას, არ დაიწყეთ იმის გარკვევა, რა და-

ამავა ქალმა და რატომ მოკლეს ის. მნიშვნელოვანი არა მიზეზი, არამედ ფაქტი. არც ერთი მიზეზი არ არსებობს, რაც მკვლელობას გაამართლებს.

- გააშუქეთ ფემიციდის გამოძიების და სასამართლო პროცესის საბოლოო შედეგები. აუცილებელია, საზოგადოებამ იცოდეს, როგორ ისჯება დამნაშავე და რამდენად ეფექტიანად მუშაობს ხელისუფლება ამ მიმართულებით.

პროსფიგურია

- პროსტიტუციის გაშუქებისას თქვენი მასალით არ განსაჯოთ ქალები, რომლებიც ამ გზით იღებენ შემოსავალს.
- პროსტიტუციით დაკავებული ყველა ადამიანი ნარკოტიკებზე დამოკიდებული, ცუდი დედა ან ავადმყოფი არ არის, ამიტომაც შეეცადეთ, რომ ამგვარი სტერეოტიპები არ გაძლიერდეს თქვენი მასალით
- მოიხსენიეთ ისინი იმ ტერმინით, რომელიც მათთვის ნაკლებად შეურაცხმყოფელია.

გეგმინები

ეცადეთ ჟურნალისტურ მასალაში გამოიყენოთ გენდერულად ნეიტრალური ტერმინები “ქალი” და “კაცი”, რომელიც აღნიშნავს სქესს და დაცლილია ამა თუ იმ კონოტაციისგან.

სიტყვები „ქალბატონი“, „ბატონი“ მხოლოდ მიმართვისას გამოიყენეთ. ასევე მოერიდეთ ისეთ სიტყვებს, რაც ქალს და კაცს სტერეოტიპულად წარმოაჩენს. არ გამოიყენოთ სიტყვები „ქალური“, „კაცური“. ამის ნაცვლად უმჯობესია ჩამოთვალოთ ის თვისებები ან მახასიათებლები, რასაც ამ სიტყვების ქვეშ გულისხმობთ. არ არის სწორი აღმატებული სიტყვების გამოყენებააც.

ნაცვლელ აქცია

სამართალდამცავებმა დააკავეს
32 წლის ქალბატონი

გათხოვების შემდეგ ქვეყანა
დატოვა

ის სუსტი სქესის ერთადერთი
წარმომადგენელია სამაშველო
სამსახურში

ძლიერი სქესისთვის
დამახასიათებელია

მშვენიერი სქესი ამ პრობლემას
სხვადასხვა გზით ებრძვის

მანდილოსანთა უმეტესობა ასე
იცვამს

ქალური ბედნიერება
ყველასათვის სხვადასხვაა
ცნობილი წამყვანი გაბედნიერდა

უმჯობესია

სამართალდამცავებმა დააკავეს
32 წლის ქალი

დაქორწინების შემდეგ ქვეყანა
დატოვა

ის ერთადერთი ქალია
სამაშველო სამსახურში

კაცისთვის დამახასიათებელია
ქალები ამ პრობლემას
სხვადასხვა გზით ებრძვიან

ქალთა უმეტესობა ასე იცვამს

ბედნიერება ყველა ქალისთვის
სხვადასხვა რამეს მოაქვს

ცნობილი წამყვანი დაქორწინდა



ბუნებრივი კავალრიზმების გაშუქება

ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქება

მიწისძვრა, ხანძარი, წყალდიდობა, ქარიშხალი - ამგვარი ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქება მედიას ხშირად უწევს. ინფორმირებულობის მნიშვნელობა ასეთ დროს იზრდება, მოქალაქეები განახლებულ ცნობებს ელიან. მედიის მიერ გავრცელებულ ზუსტ ცნობებზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, განსაკუთრებით მოვლენის პირველ ეტაპზე. ამ თემებზე მუშაობისას ჟურნალისტს ინფორმაციის გადაცემასთან ერთად, საკუთარი უსაფრთხოებაზე ზრუნვაც უწევს. რედაქცია დარწმუნებული უნდა იყოს, რომ პროფესიონალიზმთან ერთად ჟურნალისტს აქვს ფიზიკური და ფსიქოლოგიური მზაობა გააშუქოს ბუნებრივი კატაკლიზმები.

აკომენდაციები ჩელექიას:

- უმჯობესია შემუშავებული ჰქონდეს სპეციალური პროტოკოლი ველზე მომუშავე და ოფისში დარჩენილი ჟურნალისტებისთვის.
- უნდა მოახერხოს ჟურნალისტის აღჭურვა შესაბამისი ტანსაცმლით და უსაფრთხოების ტექნიკით, ბუნებრივი კატაკლიზმების ტიპის მიხედვით.
- მოავაროს ტრანსპორტირების, კვების და სხვა ტექნიკური საკითხები. მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული ევაკუაციის გეგმა, მათ შორის ის თუ რა ტრანსპორტით ტოვებს ჟურნალისტი შემთხვევის ადგილს.
- მნიშვნელოვანია რედაქციას ჰქონდეს ინფორმაცია სხვა მედიასაშუალებების შესახებ, რომლებიც კატასტროფის ზონაში იმყოფებიან, რათა საკუთარ გადამღებ ჯგუფთან კომუნიკაციის შეფერხების ან დაკარგვის შემთხვევაში საშუალება ჰქონდეს მიიღოს მათ შესახებ ინფორმაცია.

დგილზე მისვლაზე ჟურნალისტი უნდა შეეცადოს:

- მოიძიოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მომხდარის შესახებ. ამისთვის შესაძლოა დაიხმაროს ადგილობრივი ჟურნალისტები.
- შეაგროვოს კონტაქტების ბაზა პასუხისმგებელი უწყებების, ექსპერტების, დაინტერესებული პირებისა და ადგილობრივების, ვისაც შეიძლება დამატებითი ინფორმაცია ჰქონდეს.
- თან ჰქონდეს ყველა იმ პირის საკონტაქტო ინფორმაცია, ვისი დახმარებაც შეიძლება თავად დასჭირდეს.

- განსაზღვროს, როგორც სამუშაო ადგილი, ასევე ღამის გასათევი ლოკაცია თუ მოვლენების ეპიცენტრში ხანგრძლივად მოუწევს დარჩენა.
- შეისწავლოს შემთხვევის ადგილი და მიმდებარე ტერიტორია. აუცილებელია თან იქონიოს ამობეჭდილი რუკა, ასევე რუკის აპლიკაცია, რომელიც ინტერნეტის გარეშეც მუშაობს და მონიშნულია როგორც ეპიცენტრი, ასევე საავადმყოფოები, თავშესაფრები და სხვა გადაუდებელი დახმარების პოტენციური წერტილები.
- თან ჰქონდეს პირველადი სამედიცინო დახმარების ნაკრები.
- შეამოწმოს კვების ბლოკები, დამტენები, გადამყვანები, მეხსიერების ბარათები, ყველა აქსესუარი, რაც შეიძლება მუშაობისას დასჭირდეს. უმჯობესია თან ჰქონდეს რამდენიმე მობილური კომპანიის სიმ ბარათი იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე ქსელს პრობლემა ექნება.
- მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული თუ ვის უნდა ეკონტაქტოს ჟურნალისტი, როგორია სუბორდინაცია, ვისი მითითებები უნდა შეასრულოს.
- თუ შემთხვევის ადგილზე მყოფი ჟურნალისტი მიიჩნევს, რომ კონკრეტულ წერტილზე მისვლა სახიფათოა, მაშინ რედაქტორის მოთხოვნის მიუხედავად, მას შეუძლია დატოვოს სამუშაო ლოკაცია, დაასაბუთოს საკუთარი გაანწყვეტილება და საქმის კურსში ჩააყენოს რედაქცია. ჟურნალისტის უსაფრთხოების დაცვა უპირველესი ამოცანაა.

გეგმიური ღონისძიებები

ჩატარება

გადაამოწმეთ ამინდის პროგნოზი და შეარჩიეთ მოხერხებული ტანსაცმელი

- ფეხსაცმელი უნდა იყოს მოხერხებული, დახურული. წყალდიდობის დროს წყალგაუმტარი, მსუბუქი და მაღალყელიანი.
- შარვალი და ზედა უმჯობესია ღია, ნეიტრალური ფერის (არ შეიძლება ხაკი, ანდა სამხედრო ფორმას მიმსგავსებული შეფერილობის). შარვალი არ უნდა იყოს ჯინსის, რადგან დასველებისას მძიმდება და მოუხერხებელია.
- თან იქონიეთ სანჯიმარი;

- წაიღეთ სამედიცინო ნიღაბი, ანდა ყელსახვევი, შარფი, რომელიც შესაძლებელია გამოიყენოთ კვამლის, მტვრის, გაზისგან დასაცავად.
- არ არის რეკომენდირებული ძვირადღირებული აქსესუარების (საათი, სამკაული) თან ქონა.

სამსოვნაპირი აღვილი

- ღამის გასათევი ადგილის არჩევისას უპირატესობა მიანიჭეთ უსაფრთხოებას. სიტუაციის მიხედვით, ასეთი ადგილი ზოგ შემთხვევაში, შეიძლება იყოს ცნობილი სასტუმრო, ანდა კერძო სახლი.
- უმჯობესია თუკი საცხოვრებელი ადგილი არ იქნება მოწყვეტილი ცივილიზაციას, არ იქნება განთავსებული განცალკევებით, ანდა ისეთ ქუჩაზე, სადაც ჩიხია და არ არსებობს გასასვლელი ორივე მხარეს.
- ადგილის შერჩევის შემდეგ კარგად შეისწავლეთ ყველა გასასვლელი შენობიდან.
- იარეთ იმ გზებით, რომლითაც სხვებიც სარგებლობენ. ერიდეთ გაუკვალავი ბილიკებით მართო სიარულს.
- გადაადგილების შესახებ რედაქციას პროაქტიულად აცნობეთ.

სამუშაო აღვილი

- არ გაჩერდეთ ხეებთან ახლოს, რადგანაც ქარიშხლის თუ ხანძრის დროს არსებობს ტოტებისა და ხის, ასევე მეხის დაცემის რისკი.
- მოერიდეთ წყლით დაფარულ ადგილებს, სადაც ასევე შეიძლება ელექტრო კაბელები გადიოდეს. თავი აარიდეთ ფეხსაცმლის გარეშე სიარულს.
- ხანძრის დროს მანქანაში უნდა იყოს აწეული ფანჯრები, მანქანის კარი - ჩაურაზავი, ვენტილაცია - გამორთული. უნდა აკონტროლოთ ქარის მიმართულება, ხანძრის კერებთან მიახლოვებას ერიდეთ.

შინაარსობრივი მხარე

გაშუქების ზონი

- ბუნებრივი კატაკლიზმებისას იმატებს ჭორები, გამოგონილი ამბები და სპეკულაცია. ამიტომაც, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს გადამოწმებული ინფორმაცია. არაზუსტმა ცნობებმა შეიძლება დააბნიოს და საფრთხე შეუქმნას სტიქიის ზონაში მყოფ ადამიანებს.
- ჟურნალისტის გამოწვევაა, რომ ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად არ დათესოს პანიკა და უსაფუძვლო შიში მოსახლეობაში.. გაშუქების ტონი უნდა იყოს შეძლებისდაგვარად მშვიდი.
- ბუნებრივი კატაკლიზმებისას ჟურნალისტებს ზოგჯერ უჭირთ აქტივიზმსა და პროფესიულ მოვალეობას შორის ზღვარის გავლება. მნიშვნელოვანია საკუთარი როლი მკაფიოდ გქონდეთ გააზრებული. ბალანსის დაცვა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაზარალებულების ფიზიკური დაზიანების მცდელობისას. არ დაგავიწყდეთ, რომ თქვენ ჰუმანიტარული დაზიანების მისიაში არ იმყოფებით.
- რედაქციამ კარგად უნდა განსაზღვროს როდის გადადის მუშაობის საგანგებო რეჟიმზე, როგორ და რა ფორმით აშუქებს მოვლენას სხვადასხვა პლატფორმაზე - სოციალურ ქსელში, ოფიციალურ ვებ-გვერდზე, დამხმარე ვებსაიტებზე და ა.შ.
- საგანგებო რეჟიმში მუშაობის დროსაც შეეცადეთ მაქსიმალურად დაზუსტებული ინფორმაცია გავრცელოთ, რათა თავიდან აიცილოთ სპეკულაცია და პანიკა. თუ კი ჟურნალისტს უწევს დაუზუსტებელი ინფორმაციის გადაცემა, მან ამის შესახებ ცხადად და ცალსახად უნდა აცნობოს აუდიტორიას.
- განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეთ მათ, ვინც აცხადებს, რომ თვითმხილველია. გამოჰკითხეთ დეტალები და დარწმუნდით, რომ მან ნამდვილად თავად ნახა ის, რის შესახებაც ჰყვება.
- ბუნებრივი კატასტროფების დროს იზრდება ყალბი აუდიო-ვიზუალური მასალის გავრცელების რისკი, ამიტომაც გადაამოწმეთ მოქალაქეთა მიერ მოწოდებული მასალები, რედაქცია თავად უნდა დარწმუნდეს, რომ აუდიტორიისგან მიღებული მასალები სინამდვილეს ასახავს.

იხ. სოციალური მედიის გამოყენების სახელმძღვანელო წესები

ეცადეთ მოიძიოთ:

- დეტალები, რომლის ცოდნა დაეხმარება მოსახლეობას;
- ის რისკები, რომლებიც ადამიანების სიცოცხლეს საფრთხეს უქმნიან;
- უწყებები რომელთა პასუხისმგებლობაცაა მოქალაქეთა დახმარება, ინფორმირება, მომზადება და ა.შ.;
- ზარალის რაოდენობა და სახელმწიფოს გეგმები/ღონისძიებები დაზარალებულთა დასახმარებლად;

ღეზაკადგებულებთან ურთიერთობა

ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებულები გაუცნობიერებლად, წინასწარი გათვლის გარეშე ხვდებიან მედიის ყურადღების ცენტრში და მომეტებული საჯარო ინტერესის საგნად იქცევიან. ამ დროს მნიშვნელოვანია მედიამ პატივი სცეს მათ პირად ცხოვრებას და დაუსაბუთებლად არ შეიჭრას მათ პერსონალურ სივრცეში.

იხ. პირადი ცხოვრების გაშუქების სახელმძღვანელო

- ეცადეთ არ გამოაქვეყნოთ ისეთი ვიზუალური მასალა, რომელიც დაზარალებულს, კატასტროფაში მოყოლილ ადამიანს ღირსებას შეუღახავს. დააკვირდით, რა ფორმით ჩანან ისინი თქვენს მასალაში. რედაქციამ უნდა დაიცვას ბალანსი საჯარო ინტერესსა და იმ მასალის გამოქვეყნებას შორის, სადაც ადამიანთა ტანჯვაა ასახული;
- ინტერვიუს აღებისას გაითვალისწინეთ დაზარალებულის ემოციური მდგომარეობა. ნუ აიძულებთ იმ დეტალების გახსენებას, რაც მის ხელახალ ტრავმირებას იწვევს;
- ნუ დარჩებით მათ კერძო საკუთრებაში, თუკი დატოვებას გთხოვენ;
- არ აედევნოთ, თუკი გთხოვენ რომ არ გაჰყვეთ თან;
- ნუ შეაწუხებთ დაზარალებულებს ხშირი ზარებით, შეტყობინებებით, სახლთან დალოდებით;
- ცხადად განუმარტეთ თუ რომელ მედიასაშუალებას წარმოადგენთ;
- დაკრძალვის გადაღებისას აუცილებელია თანხმობა. სხვა შემთხვევაში, რედაქციამ უნდა დაასაბუთოს, რომ დაკრძალვის გადასაღებად განსაკუთრებულად მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი არსებობდა.

ვიზუალური მასალა

- მძიმე კადრების გამოქვეყნების შემთხვევაში, (დასახიჩრებულთა, გარდაცვლილთა ხედები) როგორც სამაუწყებლო, ისე ონლაინ მედიაში წინასწარ უნდა გააფრთხილოს მკითხველი ამის შესახებ. პრესა უნდა მოერიდოს ამგვარი ფოტოების გამოქვეყნებას გამოცემის პირველ გვერდებსა და გარეკანზე; დაუშვებელია კადრებით, ხმით მანიპულირება. ამბის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, ცალსახად უნდა იყოს მითითებული, რომ სცენა დადგმულია;
- მნიშვნელოვანია დაფიქრდეთ, თუ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს მძიმე კადრების პერმანენტულად განმეორებამ, ანდა განგრძობითად ჩვენებამ;
- ბუნებრივი კატაკლიზმების განმეორებითი აღწერის დროს რედაქცია უნდა დაფიქრდეს, რამდენად ღირს მძიმე ვიზუალური მასალის ხელახალი გავრცელება, სადაც კონკრეტულ პირთა ტანჯვაა ასახული. იფიქრეთ გადარჩენილთა, მათ ახლობელთა რეტრავმირებასა და ემოციურ მდგომარეობაზე.



გავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება

ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება

მედიის ქცევის კოდექსების უმრავლესობა ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქებაზე ცალკე ამახვილებს ყურადღებას, ვინაიდან ბავშვების უფლებები ყველაზე ადვილად შეიძლება დაირღვეს, მათ შორის მშობლების მხრიდანაც. სწორედ ამიტომ მედიას აკისრია უდიდესი პასუხისმგებლობა, დაიცვას ბავშვის ინტერესები, ხელი არ შეუწყოს მათი უფლებების დარღვევას, სტიგმატიზებას, სტერეოტიპების გამყარებას. წინამდებარე დოკუმენტში სიტყვა „ბავშვი“ მოიაზრებს ყველა არასრულწლოვან ადამიანს.

ზოგადი პრინციპები:

- უპირატესი მნიშვნელობა მიანიჭეთ ბავშვის ინტერესებს, არ მოამზადოთ ისეთი მასალა, რომელიც საზიანო იქნება მისთვის.
- ბავშვთა უფლებების დარღვევის ფაქტები განიხილეთ, როგორც უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც საჭიროებს გამოძიებასა და საზოგადოების ყურადღებას.
- იფიქრეთ არამხოლოდ იმაზე, რომ თავად დაიცვათ ბავშვის ინტერესები, არამედ რესპონდენტსაც არ მისცეთ ბავშვის უფლებების შელახვის შესაძლებლობა.
- არ შეიძლება ბავშვი გამოყენებული იყოს დაცინვის, ანდა გართობის ობიექტად, „საყვარელ“ არსებად, რომლის ნათქვამსაც არასერიოზულად აღიქვამენ.
- თავიდან აირიდეთ ბავშვთან დაკავშირებული პრობლემების სენსაციურ და სტერეოტიპულ ჭრილში გაშუქება.
- ეცადეთ, არ გამოიყენოთ სოციალური ქსელში არასრულწლოვნის მიერ/შესახებ განთავსებული ფოტოები ან ინფორმაცია, თუ ეს რედაქციულად არ არის დასაბუთებული. სოციალურ ქსელში გავრცელებულ ინფორმაციას ორმაგი გადამოწმება სჭირდება, რადგან მცდარი ინფორმაციის გავრცელების რისკი უფრო მაღალია.
- ინტერვიუს ჩაწერისას არ შეარჩიოთ ბავშვი სქესის, რასის ანდა ფიზიკური შესაძლებლობების მიხედვით და არ მოახდინოთ მისი დისკრიმინაცია. მაგალითად, საჯარო ღონისძიების გაშუქებისას თანაბარი შესაძლებლობა მიეცით საკუთარი აზრი გამოხატონ როგორც გადაადგილების პრობლემის მქონე ბავშვებმა, ასევე მათ, ვისაც ეს პრობლემა არ აქვთ.

- ბავშვების ინტერესები ფართოა, მათ თამაშისა და გართობის გარდა სხვა საკითხებიც აინტერესებთ. მათთან დაკავშირებულ საკითხებზე უფროსებთან ერთად თავად ბავშვებიც ასაუბრეთ. შეეცადეთ, ერთის მხრივ დაიცვათ ბავშვის ინტერესები და მეორეს მხრივ არ შეზღუდოთ მისი გამოხატვის თავისუფლება
- ბავშვი არ გამოიყენოთ როგორც რაიმე ობიექტი, რომელიც უფრო სენტიმენტალურს ხდის მასალას, ან ალამაზებს ეთერს, ანდა შესაძლებელია მასზე ექსპერიმენტების ჩატარება. მაგალითად დასპონსორებული გადაცემისას, ანდა პროდუქტის განთავსებისას (product placement) არ გამოსცადოთ ეს პროდუქტი, არ აჩვენოთ მისი მოხმარების ინსტრუქცია და ეფექტები ბავშვის გამოყენებით.

გეოგრაფიკული/გეოგრაფიკული ნიშნები

- 16 წლამდე ასაკის ბავშვთან ურთიერთობისას, მისი კომენტარის ჩანერგვამდე ან ფოტოს გადაღებამდე ნებართვა სთხოვეთ მის მშობელს ან მეურვეს იმ საკითხებზე, რომელიც მისი ან სხვა მოზარდის კეთილდღეობას ეხება.
- დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ ვისგანაც ნებართვას იღებთ, ნამდვილად მშობელი/მეურვეა. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანები ბავშვებით მანიპულირებენ და იყენებენ მათ გარკვეული სარგებლის მისაღებად.
- მშობლის ან მეურვის თანხმობა არ ათავისუფლებს ჟურნალისტს პასუხისმგებლობისგან თავად გადანაცვით რამდენად სწორი იქნება ამა თუ იმ საკითხზე ბავშვის კომენტარის ჩანერგა, ან ფოტოს გამოქვეყნება. მან თავად უნდა შეაფასოს ის ნეგატიური შედეგები, რაც შეიძლება ბავშვის იდენტიფიცირებას მოჰყვეს. ზოგჯერ მშობლები ნაკლები ინფორმაციის, განათლების თუ უბრალოდ მძიმე ემოციური მდგომარეობის გამო, ვერ იაზრებენ, რა საფრთხეების მომტანია მასალაში ბავშვის იდენტიფიცირება.
- საარქივო მასალების გამოყენებისას მხედველობაში იქონიეთ ის, რომ ბავშვებთან დაკავშირებით კონტექსტი სწრაფად იცვლება. შესაძლოა, ამგვარი მასალის გამოყენებისას მშობლის ან თავად არასრულწლოვნის თანხმობის მიღება ხელახლა გახდეს საჭირო.
- ზოგჯერ ბავშვები საკუთარი საქმიანობიდან გამომდინარე ხდებიან საზოგადოებრივი ინტერესის ობიექტები (მაგ. სპორტსმენი,

მომღერალი). მათი საქმიანობის გასაშუქებლად და ფოტო/ვიდეოს გადასაღებად მშობლების თანხმობა საჭირო არ არის.

- მშობლის ნებართვა საჭირო არ არის საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე ზოგადი ფოტო/ვიდეოს გადაღებისას. თუმცა, ჟურნალისტი ყურადღებით უნდა იყოს ასეთი ფოტოები არ გამოიყენოს უკონტექსტოდ. მაგალითად, დანაშაულზე მასალის მომზადებისას არ დაუერთოს ის ფოტო/ვიდეო, რომელიც საჯარო ადგილას მყოფ ბავშვებს ასახავს. ამით შესაძლოა, მკითხველს/მაყურებელს დარჩეს შთაბეჭდილება, რომ კადრში ნაჩვენებ ბავშვს რაიმე კავშირი აქვს დანაშაულთან.

კომუნიკაცია ბავშვთან

- ინტერვიუზე დათანხმების სანაცვლოდ საჩუქრის დაპირება დაუშვებელია, რადგან ადვილია ბავშვზე ზემოქმედება, მისი დაუცველ მდგომარეობაში ყოფნა არ უნდა გამოიყენოთ მანიპულაციისთვის და არ უნდა აიძულოთ ინფორმაციის გაცემა.
- ინტერვიუს ჩაწერისას დაიკავეთ ისეთი პოზიცია, რომ ბავშვმა პირდაპირ გიყუროთ და არა ქვემოდან ზემოთ.
- ბავშვთან ინტერვიუ მისთვის სასურველ, მოსახერხებელ ადგილას ჩაწერეთ. მიეცით უფლება ისე მოთავსდეს, როგორც მას სურს.
- ფოტოგრაფმა/ოპერატორმა უნდა გააცნობიერონ რომ შესაძლოა ბავშვებთან მუშაობისას მეტი ძალისხმევა დასჭრდეთ ვიდრე ზრდასრულებთან.
- გადაღებისას არ მიაღებინოთ ბავშვს ხელოვნური პოზა
- ბავშვებს არ ესაუბროთ „ენის მოჩლეჩით“, დაუსვით კითხვები გამართულად, გრამატიკული ნორმების დაცვით და არა ისე დამახინჯებით, როგორც მცირეწლოვანი ბავშვები საუბრობენ.
- პატივი ეცით და სერიოზულად აღიქვით ბავშვის ნათქვამი. არ გაიცინოთ მის ნათქვამზე, ამით შესაძლოა გაუქრეთ საუბრის სურვილი, რადგან იფიქრონ, რომ დასაციინია მათი აზრი.
- ბავშვებისათვის გასაგებ ენაზე ისაუბრეთ. როცა რაიმეს ხსნით, მარტივი ლექსიკა გამოიყენეთ.
- დააკვირდით, გაიგეს თუ არა ბავშვებმა თქვენი ნათქვამი? თუ არასწორად გაიგეს, სხვა სიტყვებით თქვით სათქმელი.
- აუხსენით, რომ ინტერვიუს დროს არც მათ ცოდნას ამოწმებთ და არც ნიშანს უწერთ, თქვენ უბრალოდ გაინტერესებთ, რას

ფიქრობენ ისინი ამა თუ იმ საკითხის შესახებ. ბავშვები ადვილად ხვდებიან, გულისყურით უსმენენ თუ არა უფროსები და აინტერესებთ თუ არა მათი აზრები.

- თუ ბავშვი გაუბედავია, ამართლებს დახურული შეკითხვების დასმა, რომელთაც ღია შეკითხვა მოყვება. მაგალითად: „უნდა გაიზარდოს თუ არა გაკვეთილების რაოდენობა?“ „რატომ?“ ნუ აიძულებთ ბავშვს, აუცილებლად გიპასუხოთ თუ მას ეს არ სურს.
- შეეცადეთ, არ შეაწყვეტინოთ საუბარი, მათ შეიძლება მოეჩვენოთ, რომ „სწორ“ პასუხს არ იძლევიან.
- საუბრისას დალლა თუ შეამჩნიეთ, მიეცით შესვენების საშუალება, ან შეწყვიტეთ ინტერვიუ.
- სხვადასხვა ასაკის ბავშვთან განსხვავებული ხანგრძლივობის ინტერვიუს ჩაწერა არის შესაძლებელი. მცირეწლოვანი კონცენტრაციას დიდხანს ვერ ახერხებს, ამიტომაც დიდხანს ვერ ისაუბრებთ.
- გახსოვდეთ, რომ მცირეწლოვანი ბავშვის ფანტაზია დიდია და მისი ნათქვამი შესაძლოა სიმართლეს არ შეეფერებოდეს და მისი წარმოსახვის ნაყოფი იყოს.

კოლის დაუპაირობი ბავშვი

- ბავშვის დაფარვა საჭიროა მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია მას რაიმე ტიპის ზიანი მიადგეს, მაგალითად, იძალადონ მასზე, გახდეს ბულინგის მსხვერპლი, მოხდეს მისი სტიგმატიზება, გარიყვა ან ნებისმიერი სახით გაუარესდეს მისი მდგომარეობა.
- ბავშვის დაფარვა უპირობოდ აუცილებელია როდესაც ის არის:
 - ✓ ძალადობის/დანაშაულის მსხვერპლი
 - ✓ ბრალდებული/მსჯავრდებული/მონმე
 - ✓ არის ჩართული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში
 - ✓ რაიმე ფორმით არის დაკავშირებული სექსუალურ ძალადობასთან. მედია განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს ამგვარი შემთხვევების გაშუქებას
 - ✓ აივ-დადებითი ან შიდსით დაავადებული, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ბავშვი, მშობელი ან მასზე პასუხისმგებელი პირი არ განაცხადებს თანხმობას სრულიად შეგნებულად

- ✓ საომარ მოქმედებებში ჩართული ბავშვი იარაღით ხელში
- ✓ ბავშვისათვის ზიანის მიყენების ან სამაგიეროს გადახდის რისკის შემთხვევაში

გაითვალისწინეთ:

- ბავშვის სახის დაფარვა არ არის საკმარისი მისი სრულად არა-იდენტიფიცირებისთვის, ხშირად მისი ამოცნობა შესაძლებელია გარემოს აღწერით, ან სხვა რესპონდენტების იდენტიფიცირებით.
- გადაღების დაგეგმვისას უმჯობესია წინასწარ განსაზღვროთ საჭიროა თუ არა ბავშვის არაიდენტიფიცირება. თუ რედაქცია იღებს ბავშვის დაფარვის გადაწყვეტილებას, მაშინ აცნობეთ ეს ოპერატორსაც და კადრებიც შესაბამისად გადაიღეთ - აჩვენეთ ისეთი დეტალები, რაც ერთის მხრივ მის იდენტიფიცირებას არ მოახდენს და მეორეს მხრივ არ დააზარალებს მასალის ვიზუალურ მხარეს, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს სხვადასხვა დეტალის ჩვენება.

გარდა ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა, სხვა დროს ბავშვის იდენტიფიცირება შესაძლებელია კონტექსტიდან გამომდინარე.

ქალაქობა და გარეგანი

- როგორც ზემოთ აღინიშნა, ნებისმიერი ფორმის ძალადობის შემთხვევაში არასრულწლოვნის იდენტიფიცირება, როგორც პირდაპირი¹, ისე ირიბი, დაუშვებელია, იმის მიუხედავად ბავშვი მოძალადის როლშია, მსხვერპლის თუ მოწმის.
- უფრო მეტად ნულარ მოახდენთ ბავშვის სტიგმატიზებას. თავი აარიდეთ კატეგორიზაციას ან სიუჟეტის ისეთ აღწერას, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვისათვის სამაგიეროს გადახდა - დამატებითი ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზიანის მიყენება, დამცირება, დისკრიმინაცია ან საზოგადოების მიერ გარიყვა.
- ეცადეთ თავიდან აიცილოთ ბავშვის რეტრავმირება და არ გაახსენოთ ის ამბავი, რაც მასზე ნეგატიურად იმოქმედებს, თუ ეს რედაქციულად დასაბუთებული არ არის და არ გადაწონის საჯარო ინტერესი, მაგალითად გამოააშკარავებს სხვა დანაშაულს.

1. პირდაპირი იდენტიფიცირება- ბავშვი თავად ჩანს, ირიბი იდენტიფიცირება - ბავშვის ამოცნობა შესაძლებელია სხვა დეტალებით (მშობლების, სამეგობლოს, მისამართის ჩვენებით)

- ეცადეთ შემთხვევის ადგილას არ ჩანეროთ ბავშვი, რომელიც შოკურ მდგომარეობაშია.
- მართალია, დაშავებული ბავშვის ფოტო უფრო ბევრის მთქმელი და ემოციურია საზოგადოებისთვის, მაგრამ უნდა გაითვალისწინოთ, რომ შესაძლოა ამგვარი კადრები თავად ბავშვისთვის მტკივნეული იყოს.
- იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის პასუხებს შეუძლია შემთხვევასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაცია მოგანოდოთ, დაუსვით ღია კითხვები, მაგალითად “რა მოხდა შემდეგ?” ნაცვლად ისეთი კითხვისა, რომელიც თავს აგრძნობინებს დამნაშავედ „დამე რატომ სეირნობდი?“ ან სადაც პასუხი ჩანს - “შეგეშინდა?”
- ტრავმირებული ადამიანები ხშირად იცვლიან აზრს. თუ ინტერვიუს დასრულების შემდეგ რესპონდენტმა გადაიფიქრა და გთხოვთ ინტერვიუს არ გამოქვეყნება, არ გამოიყენოთ ჩანაწერი. მიეცით საშუალება გაასწოროს შეცდომები და დაამატოს, თუ თავდაპირველი საუბრისას რაიმე ვერ გაიხსენა.
- თუ ტრავმირებული ბავშვი ან მისი მშობლები ინტერვიუზე თანხმობის მოცემამდე დროს ითხოვენ, დაელოდეთ თუ ეს შესაძლებელია და უკეთეს პასუხებს მიიღებთ.
- ბავშვს უნდა აჩვენოთ, რომ კი არ გეცოდებათ, არამედ უსმენთ. ტრავმირებულ ბავშვთან საუბრამდე ესაუბრეთ მის მშობლებს, მასწავლებლებს, შეისწავლეთ ყველა დოკუმენტი. გაარკვიეთ, რა იქნება ყველაზე რთული და ემოციური მომხდარ ამბავში, რათა კითხვის დასმისას თავიდან აირიდოთ რეტრავმირება.
- ყურადღებით იყავით, რომ ყველა კითხვა შესაბამისობაში იყოს ბავშვის ასაკთან. მოვლენათა ქრონოლოგიის აღდგენა მცირე ასაკის ბავშვს შეიძლება გაუჭირდეს, სამაგიეროდ, კარგად გაიხსენოს, რას თამაშობდა, როცა შემთხვევა მოხდა. არ აიძულოთ მოგიყვით ყველა დეტალი თანმიმდევრობით.
- შემთხვევიდან ერთი წლის შემდეგაც კი იმ მოვლენის გახსენებამ შესაძლებელია მოულოდნელად ემოციური რეაქცია გამოიწვიოს, რისთვისაც მზად უნდა იყოთ.
- მტკივნეულ საკითხზე საუბარს პირდაპირ ნუ დაიწყებთ.

ჯანმრთელობის პრობლემების მქონე და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მცხოვრები ბავშვების დახმარების ერთადერთი გზა ხშირ შემთხვევაში მედიაა. ამ თემაზე მასალის მომზადებისას:

ჯანმრთელობის პრობლემის მქონე და მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მცხოვრები ბავშვების დახმარების ერთადერთი გზა ხშირ შემთხვევაში მედიაა. ამ თემაზე მასალის მომზადებისას:

- ეცადეთ ჟურნალისტური მასალის მთავარი მიზანი სისტემური პრობლემის მხილება იყოს - რატომ არის საჭირო საზოგადოების დახმარება ბავშვის სიცოცხლის გადასარჩენად და რატომ ვერ უზრუნველყოფს მის მკურნალობას სახელმწიფო. გახსოვდეთ, რომ მასალის გმირი ბავშვის გარდა იმავე მდგომარეობაში კიდევ არაერთი ადამიანია და მათ თქვენთან დაკავშირება ვერ მოახერხეს.
- მნიშვნელოვანია, ბავშვთა სიღარიბე და სოციალური პრობლემები გააშუქოთ თანმიმდევრობით. კონკრეტული ისტორიები გამოიყენეთ ზოგადი, სისტემური პრობლემის წარმოსაჩენად.
- ბავშვის თანდასწრებით არ ასაუბროთ მშობელი იმის შესახებ, თუ რა გართულებები ანდა ლეტალური შედეგი მოჰყვება ავადმყოფობის პროგრესირებას. ამან დამატებითი სტრესი შესაძლოა გამოიწვიოს.
- მოერიდეთ მძიმე ემოციური კადრების გამოყენებას.
- დაუშვებელია ბავშვის ჯანმრთელობის პრობლემის გასაჯაროვება მშობლის ნებართვის გარეშე. ასევე, მნიშვნელოვანია, მედიამ თავად ბავშვსაც ჰკითხოთ, სურს თუ არა, მის შესახებ მედიაში მასალა მომზადდეს. იმ შემთხვევაში კი, როცა მშობლის ნებართვა არსებობს, მედიამ უნდა იმსჯელოს იმ შესაძლო რისკებზე, რაც ინფორმაციის გავრცელებას შეიძლება მოჰყვეს და დაიცვას ბავშვის საუკეთესო ინტერესი.
- დაუშვებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების სტერეოტიპულად გაშუქება. მათ მედია ისე უნდა აშუქებდეს, როგორც სხვა ბავშვს გააშუქებდა.
- არ დაუფაროთ სახე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს, თუკი იმავე სიტუაციაში მყოფ სხვა ბავშვს არ დაუფარავდით. მიეცით მათ საშუალება საზოგადოებას გააცნონ საკუთარი საჭიროებები.

- შშმ ბავშვების გაშუქებისას ეცადეთ, აქცენტი მის შესაძლებლობებზე გააკეთოთ. შემლუდული შესაძლებლობა კი მხოლოდ იმ შემთხვევაში ახსენოთ, როდესაც მაგალითად, ვერ იღებს შესაბამის სერვისს ან ექმნება სხვა ტიპის პრობლემები.
- თუ ბავშვის მიღწევებზე საუბრობთ, არ გაუსვათ ხაზი მის სოციალურ მდგომარეობას. მნიშვნელობა არ აქვს მაგალითად, ჭადრაკში ჩემპიონი სოციალურად დაუცველი არის თუ არა, თუ გაშუქების ფოკუსი არ არის ის, თუ როგორ აღწევენ წარმატებას ბავშვები ფინანსების არქონის პირობებში.
- რაც არ უნდა მძიმე იყოს ისტორია, ეცადეთ წარმოაჩინოთ პოზიტიური დეტალებიც. მაგალითად, ყველა ბავშვს, მიუხედავად მძიმე საცხოვრებელი პირობებისა, აქვს ინტერესები, ჰობი. მასაც, სხვა ბავშვების მსგავსად, უყვარს თამაში, კითხვა, ხატვა და ა.შ. მნიშვნელოვანია ამგვარი დეტალების ჟურნალისტურ პროდუქტში წარმოჩენაც.
- მოერიდეთ ბავშვის ქველმოქმედების ან მოწყალების მიმღებობიექტად წარმოჩენას. ხშირად, პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ სხვადასხვა ჯგუფები საკუთარი პიარკამპანიისთვის, იმიჯის შესაქმნელად აქტიურად იყენებენ ბავშვებს, მიდიან მათთან და ურიგებენ საჩუქრებს. მედიამ ხელი არ უნდა შეუწყოს ამ ჯგუფებს, აწარმოონ საკუთარი პიარკამპანია ბავშვების გამოყენებით.
- ნუ აღუძრავთ ადამიანებს ტყუილ იმედს. განსაკუთრებით ფრთხილად მოეკიდეთ ისეთ ინფორმაციას, სადაც ლაპარაკია „გასაოცარ განკურნებაზე“ ან ჯანმრთელობისთვის პოტენციურ საფრთხეზე.

აკასრულწლოვანთა სუიციდი

არასრულწლოვანთა სუიციდი ის მძიმე თემაა, რომლის გაშუქებასაც მედია ხშირად ერიდება. განსაკუთრებით სენსიტიური იმ პირთა გაშუქებაა, რომლებმაც თვითმკვლელობა სცადეს და გადარჩნენ. ამ საკითხზე მუშაობისას მრავალი ეთიკური დილემა წამოიჭრება და რედაქციულად დასაბუთებისა და სწორი გამოსავლის ძებნის ნაცვლად, საერთოდ გაშუქებაზე ამბობენ უარს.

- როგორც სრულწლოვანთა სუიციდისას, ამ შემთხვევაშიც მედიამ უპირველეს ყოვლისა უნდა უპასუხოს კითხვას - უნდა გაშუქდეს თუ არა კონკრეტული, ცალკეული ფაქტი?
- ფსიქიკური ჯანმრთელობის ექსპერტების მიერ ჩატარებული

კვლევა ცხადყოფს, რომ მედიის მიერ სუიციდის გაშუქების განსაკუთრებით ყურადღების ცენტრში მოქცევას შეუძლია წახალისოს მსგავსი ქცევა - განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუკი სუიციდი წარმოჩენილია როგორც რომანტიკული ან მიმზიდველი, ანდა გამოსავალი პრობლემების მოგვარების. შესაბამისად, მედიამ თავიდან უნდა აიცილოს შემთხვევების ამ ჭრილში გაშუქება

- ზედმეტად დეტალურ აღწერასა და სენსაციაზე ორიენტირებულმა სტატიებმა, რომლებიც ფოკუსირდებიან სუიციდის მსხვერპლთა მიერ გამოყენებულ მეთოდებზე, შესაძლოა სხვებს, ვინც რაიმე ფორმით, საკუთარი თავის იდენტიფიცირებას მოახდენს მსხვერპლთან, ასწავლოს თუ როგორ უნდა გაიმეორონ იგივე ქმედება. არასოდეს მოყვეთ დეტალები და ნუ აჩვენებთ იმ გარემოს, სადაც სუიციდი მოხდა.
- არასოდეს გააშუქოთ სუიციდი როგორც გმირული საქციელი. ამით შესაძლოა მიბაძვა გამოიწვიოს. არასრულწლოვანმა თვითმკვლელობას შესაძლოა მხოლოდ იმიტომ მიმართოს, რომ ამ ფაქტის შემდეგ მასზე ილაპარაკებენ და „დააფასებენ“. ამ ასაკში მათ თვითდამკვიდრების პრობლემა აქვთ.
- არ დაიწყოთ საინფორმაციო გამოშვება სუიციდის ამბით. არ განათავსოთ სუიციდთან დაკავშირებული ამბები გაზეთის/ჟურნალის ყდაზე.
- არ თქვათ, რომ სუიციდით „ტკივილის/ტანჯვას ბოლო მოეღო“.
- არ გამოიყენოთ ფრაზა „სუიციდი ჩაიდინა“ სუიციდი დანაშაული არ არის. უმჯობესია თქვათ „სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა“.
- არ დაასახელოთ სუიციდის ერთი კონკრეტული მიზეზი, რადგან სუიციდს კომპლექსური პრობლემები იწვევს.
- ოჯახის წევრები ხშირად ისეთ მძიმე ემოციურ მდგომარეობაში არიან რომ ყვებიან იმას, რასაც ჩვეულებრივ შემთხვევაში არ იტყოდნენ. ამიტომ თავად აწონ-დანონეთ რაიმე ზიანს ხომ არ მოუტანს ამ ინფორმაციის ანდა კადრების გავრცელება მათ? უფრო მეტ ტკივილს ხომ არ მიაყენებს? გამოქვეყნებულმა მასალამ შესაძლოა დიდ ხანს იქონიოს გავლენა სუიციდის მსხვერპლთა ოჯახის წევრებზე.
- ახლობლებისა და სამართალდამცავების კომენტარების გარდა მნიშვნელოვანია ფაქტების მოგროვება, ვინაიდან თუკი

ისეთი ვინმესგან აიღებ ინტერვიუს, ვინც არ იცის სიტუაციის მიღმა არსებული ფაქტორები, შესაძლოა თქვენც არასწორად მოახდინოთ რეალობის ინტერპრეტაცია.

- თვითმკვლელობა დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს სამეზობლოში, სანაცნობოში. ეცადეთ მათგან გაგონილი ყველა ინფორმაცია არ გაასაჯაროვოთ და პატივი სცეთ გარდაცვლილის პირად ცხოვრებას. ოჯახის წევრებისთვის მტკივნეული წასაკითხი და სანახავი იქნება ამგვარი მასალა.
- სუიციდისა და სუიციდისაგან გადარჩენილი ადამიანების გაშუქებისას ყურადღება გაამახვილეთ სუიციდის პრევენციაზე, ინფორმირებასა და მხარდაჭერაზე.

შვილები

- ბავშვები ყურადღების ცენტრში მშობლების გამოც ხვდებიან. თუ მშობლის მიმართ არსებობს საჭარო ინტერესი, ეს ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ შვილებიც იმავე დოზით უნდა გაშუქდნენ.
- როდესაც მშობლის საქმიანობას აშუქებთ, მოერიდეთ იმ ვიდეო თუ ფოტომასალის გამოყენებას, სადაც შვილებთან ერთად ჩანს.
- ოჯახური ტრაგედიების, ახლობლის დაკრძალვის ცერემონიისას აქცენტი არ გააკეთოთ ბავშვების ემოციებზე.



შენს მოკვების სვანდიაში მედიუმი

შესწორების სპანდაგი პედიუმი

ჟურნალისტურ საქმიანობას თან სდევს შეცდომები, არაზუსტი დეტალების გავრცელება, რაც ზოგ შემთხვევაში სისწრაფის, უყურადღებობის, პროფესიონალიზმის ნაკლებობის, მწირი გამოცდილების ანდა სხვა მიზეზით არის გამოწვეული. პასუხისმგებელიანი მედია, რომლისთვისაც აუდიტორიის სანდოობა და რეპუტაცია მნიშვნელოვანია, ცდილობს მყისიერად შეასწოროს დაშვებული შეცდომა, ამცნოს აუდიტორიას და იზრუნოს ზუსტი ინფორმაციის გავრცელებაზე.

მცდარი ინფორმაციის შესწორებისას რედაქციის მთავარი მიზანი და გამოწვევაა, შეძლოს დაზუსტებული დეტალების იმავე აუდიტორიისთვის მონოდება, რომელმაც თავდაპირველად არასწორი ინფორმაცია მიიღო. შესწორების ფორმა სხვადასხვა შეიძლება იყოს იმის მიხედვით თუ რა ტექნოლოგიით, ფორმით გავრცელდა არასწორი ინფორმაცია, რა მასშტაბის აუდიტორიისთვის და რამდენი ხნით იყო ხელმისაწვდომი.

ძირითადი პრინციპები


- ჟურნალისტებმა და რედაქტორებმა პასუხისმგებლობა უნდა აიღონ დაშვებულ შეცდომებზე და დროულად გაასწორონ უზუსტობები.
- აუდიტორიამ უნდა იცოდეს რა გასწორდა, შესაბამისად ცხადად და მკაფიოდ უნდა იყოს მითითებული რა იყო არასწორი და რა არის სწორი.
- თუკი ამბავი ვითარდება და მოსალოდნელია, რომ ახალი დეტალები გამოიკვეთება, აუცილებელია მიუთითოთ, რომ ამბავი ახლდება.
- სასურველია შეცდომაზე ერთ რედაქტორთან ანდა ჟურნალისტთან ერთად პასუხისმგებლობას რედაქციამაც აიღოს. თუ შესაძლებელია, ახსენით შეცდომის გამომწვევი მიზეზიც.
- მასალა უნდა შესწორდეს გონივრულ ვადაში, გონივრული ვადა განისაზღვრება მედიის ტიპის, აუდიტორიის მოცულობის, შესაბამისად ინდივიდუალურად, კონტექსტის გათვალისწინებით.
- რედაქციამ ყურადღება უნდა მიაქციოს აუდიტორიის მიერ სხვადასხვა პლატფორმაზე დატოვებულ შეტყობინებებს, რომლებიც შეცდომაზე მიუთითებს.

- ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პრაქტიკის თანახმად, მეცდომის შესახებ შეტყობინების მიღებად ითვლება ნებისმიერი ფორმით ჟურნალისტისთვის პერსონალურად თუ რედაქციისთვის მიმართვა. შესწორების სტანდარტის დარღვევად ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც დასტურდება, რომ მასალის გამოქვეყნების შემდეგ რედაქციამ მიიღო სწორი ინფორმაცია, თუმცა, არ შეასწორა.
- მკითხველთა მიერ მეცდომაზე მითითების შემდეგ როგორ რეაგირებს გამოცემა, როდის ასწორებს/არასწორებს მასალას, ვინ იღებს გადაწყვეტილებას და ასე შემდეგ, თავად რედაქციამ უნდა გადანევიტოს. უმჯობესია თუ კი მედია ორგანიზაციებს ექნებათ საკუთარი სახელმძღვანელო წესები, სადაც ძირითად პრინციპებთან ერთად ამგვარი პროცედურებიც იქნება აღწერილი.
- სასურველია რედაქციას ოფიციალურ ვებსაიტზე გამოქვეყნებული ჰქონდეს სპეციალური განყოფილება, სადაც აუდიტორიას მეცდომის შესახებ ინფორმაციის გაგზავნა შეეძლება.


მონაწილეები

შესწორება

- გამოქვეყნებული მასალა უნდა შესწორდეს ისე, რომ აუდიტორიისთვის ცნობილი გახდეს თუ რა გასწორდა. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია და არ უწყობს ხელს ვინმესთვის საზიანო ინფორმაციის გავრცელებას, მასალის ბოლოს შენიშვნის სახით უნდა მიეთითოს რა ეწერა მცდარ ვერსიაში.
- სათაურის შეცვლის შემთხვევაში მედია უნდა დარწმუნდეს, რომ მასალის სათაური შესწორდა ყველა პლატფორმაზე, სადაც კი გაზიარებული იყო ინფორმაცია. ყურადღება მიაქციეთ ბმულის ფრაგმენტსაც (URL), რომელიც ხშირად სათაურის ანალოგია. ფაქტობრივი უზუსტობა იქაც ჩაასწორეთ.



- ფოტოს ჩასწორების შემთხვევაშიც სათაურის მსგავსად დარწმუნდით, რომ არასწორი ფოტო აღარ იძებნება მედიასაშუალებების მიერ გამოყენებულ არცერთ პლატფორმაზე.
- გამოიყენეთ ფესბუკის ხელსაწყოები ბმულის გასასწორებლად, რათა შესწორების შემდეგ ძველი ვერსია აღარ ზიარდებოდეს.
- ასევე შეგიძლიათ განაახლოთ გაზიარებული მასალა ფეისბუკზე ისე, რომ არ წაშლა არ მოგიწიოთ.



ნაშლა

- მასალა სრულად მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში შეიძლება წაიშალოს. მაგალითად მაშინ, როდესაც საჯარო ინტერესის არარსებობის შემთხვევაში ის ზიანს აყენებს, ლახავს სხვათა უფლებებს და განსაკუთრებით უხეშად არღვევს ეთიკურ სტანდარტებს.
- მასალა შესწორების ნაცვლად როგორც წესი, მაშინ შეიძლება წაიშალოს, როდესაც მხოლოდ თქვენ ხართ ინფორმაციის გამავრცელებელი ერთადერთი ღია წყარო. თუკი ინფორმაცია სხვების მიერაც არის გავრცელებული, მაშინ ჩამოხსნის ნაცვლად იმავე ბმულზე შესწორება სჯობს.
- მასალის წაშლის შემთხვევაში სასურველია რედაქციამ ახსნას ამ გადაწყვეტილების მიზეზი.
- თუკი მომდევნო დღეებში გამოიკვეთა მნიშვნელოვანი დეტალები, რაც არსობრივად ცვლის წინა დღეს გავრცელებულ ინფორმაციას, რომელსაც შეცდომაში შეჰყავს აუდიტორია, უმჯობესია ცალკე მომზადდეს ახალი მასალა, უკვე გამოქვეყნებულ სტატილაში კი ცხადად მიუთითოს ბმული და გაუკეთდეს შესაბამისი წარწერა ახლად გამოვლენილი გარემოების შესახებ.

2018 წლის 29 მაისს გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უკრაინაში ცნობილი რუსი ჟურნალისტი, კრემლის მიმართ კრიტიკულად განწყობილი არკადი ბაბჩენკო მოკლეს. ინფორმაცია ოფიციალურმა უწყებებმა დაადასტურეს და ამბავი საერთაშორისო მედიის ფოკუსშიც მოხვდა. 30 მაისს უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა გამართა პრესკონფერენცია, სადაც შემოვიდა ცოცხალი ბაბჩენკო. უკრაინის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ იგეგმებოდა ბაბჩენკოს ლიკვიდაცია, რისი ჩაშლის მიზნითაც დადგეს მისი მკვლელობა. ძველ მასალები ჩაასწორეს და ბაბჩენკოს ცოცხლად ყოფნის შესახებ ახალი მასალის ბმული მიუთითეს. ამერიკულმა გამოცემებმა (მაგ. New York Times)

საგაუწყებლო მედია

- მაუწყებელმა ღიად და დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს დაშვებული შეცდომის შესახებ და თანაბომადი ფორმით შეასწოროს ის. მაგალითად, თუკი შეცდომა დაუშვეს პრაიმ ტაიმში, მთავარ საინფორმაციო გამოშვებაში, ინფორმაცია ამავე გადაცემაში მეორე დღეს უნდა გავიდეს. თუმცა, რა არის თანაბომადი შესწორება, ეს კონკრეტულ შემთხვევაზეა დამოკიდებული. საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე შესაძლებელია, დაბუსტება უმჯობესი იყოს არა შემდეგ დღეს იმავე გადაცემაში, არამედ უახლოეს მომდევნო გადაცემაში.
- მასალის დროულად გასასწორებლად შესაძლებელია, გამოიყენოთ მაუწყებლის ოფიციალური გვერდი ინტერნეტში.
- ეთერში გასული შესწორებული ვიდეო-მასალა ახალი რედაქციით უნდა აიტვირთოს ოფიციალური ვებსაიტზე და ასევე, შესწორდეს ყველა პლატფორმაზე იმავე წესით, როგორც ეს ონლაინ მედიის შემთხვევაშია გაწერილი.

2016 წელს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის საბჭომ განიხილა ტელეკომპანია GDS-ის მიერ მომზადებული მასალა, რომლის თანახმადაც, “გეორგიანის ცეკვის აკადემიამ” მითითისა ერთ-ერთი ქართული ცეკვა. სიუჟეტის საფუძველი გახდა ამ ანსამბლის მოცეკვავეების მიერ შესრულებული ქართული ცეკვის ამსახველი ვიდეო, რომელიც Youtube-ზე აიტვირთა სათაურით “სომხური საქორწინო ცეკვა”. მოგვიანებით “გეორგიანის ცეკვის აკადემიამ” გაავრცელა განცხადება და აღნიშნა, რომ ვიდეო მათ არ გამოუქვეყნებიათ და ქართული ცეკვის შესრულებისას მიუთითეს თუ რომელი ქვეყნის ცეკვას ასრულებდნენ.

პირველი არასწორი ინფორმაციის შემცველი სიუჟეტიდან გასვლის მეორე დღეს GDS-მა იმავე გადაცემაში გაავრცელა ცეკვის აკადემიის განმარტება. ეთიკის ქარტიის საბჭომ ამ შემთხვევაში შესწორების პრინციპის დარღვევა დაადგინა, რადგან მიიჩნია, რომ მხოლოდ “გეორგიანის ცეკვის აკადემიის” განცხადების წაკითხვა საკმარისი არ იყო შესწორებისთვის - “იმისათვის, რომ შეცდომა გამოსწორებულად ჩაითვალოს, საჭიროა შეცდომაზე ხაზგასმა და მითითება, რომ მანამდე გავრცელებული ინფორმაცია არ შეესაბამებოდა სიმართლეს”, - აღინიშნა გადაწყვეტილებაში.

- მაუწყებელთა ქცევის კოდექსის თანახმად, პირს, რომლის შესახებაც არასწორი ინფორმაცია გადაიწა ეთერში, შეუძლია მიმართოს მაუწყებელს მასალის ეთერში გასვლიდან 10 დღის ვადაში და მოითხოვოს მოცემული მცდარი ფაქტის თანაბომადი საშუალებებითა და ფორმით შესწორება ან უარყოფა საწყისი განცხადების ხანგრძლივობით და დაახლოებით იმ დროს, როდესაც გაკეთდა საწყისი განცხადება.

ბეჭდური მედია

- პრესის შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია თანაბომადობა. თუ არასწორი ინფორმაცია გაზეთის პირველ გვერდზე დაიბეჭდა, სასურველია, რომ მომდევნო ნომერში ისევ პირველ გვერდზე გამოქვეყნდეს შესწორებული ინფორმაცია. აქაც, აუდიტორიისთვის გასაგებად და ცალსახად უნდა იყოს მითითებული, რომ წინა ნომერში შეცდომაში შემყვანი მასალა გამოქვეყნდა.
- ბეჭდური გამოცემების ვებსაიტებზეც შესწორების ისეთივე სტანდარტი ვრცელდება, როგორც ონლაინ მედიის შემთხვევაში.
- როგორც კი რედაქციისთვის ცნობილი გახდება დაშვებული შეცდომის შესახებ, მისი სიმძიმიდან გამომდინარე შესაძლებელია გამოცემა არ დაელოდოს შემდეგი ნომერის გამოსვლას და შეცდომის შესახებ განაცხადოს მყისიერად საკუთარ ვებსაიტსა თუ ოფიციალურ გვერდზე სოციალურ ქსელში.

